№2295 2295

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ორშაბათი
18 მარტი
1940 წ.
№ 64 (5765)
ფასი 10 კაპ.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ყველა წარმატებანი წარმოადგენენ იმ უდიდესი ზრუნვის შედეგს, რომელსაც გვითმობენ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საკავშირო მთავრობა და პირადად ამხანაგი სტალინი.

თავიანთ მიღწევებს საქართველოს ბოლშევიკები უნდა უმადლოდნენ ერთგულ სტალინელს ამხანაგ ბერიას, რომელმაც აღზარდა ისინი პარტიისა და დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

**კ. ჩარკვიანი**

# საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობა

მოსკოვი

## სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო
## ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვს

**ძვირფასო ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ!**

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIII ყრილობა მხურვალე სალამს გითვლით თქვენ — **ლენინისა** და **სტალინის** ერთგულ თანამებრძოლს, ბოლშევიკური პარტიის უდიდეს მოღვაწეს!

საქართველოს ბოლშევიკები, შეიკრიბნენ რა თავის მორიგ ყრილობაზე, თვითკრიტიკის ნიშნით ამოწმებენ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა და ამხანაგ **სტალინის** მითითებათა შესრულებას, სახავენ კონკრეტულ გზებს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და სოციალისტური მშენებლობის ახალ წარმატებათა მისაღწევად.

ახამებენ რა თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში პოლიტიკას და მეურნეობას, საქართველოს პარტიული ორგანიზაციები იბრძვიან მათს წინაშე დასახულ სამეურნეო ამოცანათა წარმატებით გადაჭრისათვის, ამაღლებენ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ხარისხს, უღვივებენ მასებს მტრის ნაბოლარათა ოინებისადმი რევოლუციური სიფხიზლის გრძნობას.

ძვირფასო ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ! ჩვენ კარგად გვახსოვს თქვენი სიტყვები იმის შესახებ, რომ საჭიროა ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება, რომ ყოველი ჩვენგანი თავის პოსტზე თავისი დაძაბული მუშაობით უნდა ეხმარებოდეს ჩვენს სახელოვან წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს.

დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ხალხთა განთავისუფლება პანების ულლისაგან, ბრწყინვალე ლიკვიდაცია საერთაშორისო იმპერიალიზმის ფინეთის პლაცდარმისა ჩვენი ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებზე, ლენინგრადის უშიშროების უზრუნველყოფა დაკავშირებულია თქვენს, როგორც სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის, მოღვაწეობასთან.

თქვენ განუხრელად და მტკიცედ ახორციელებთ სტალინურ საგარეო პოლიტიკას, რომელიც უზრუნველჰყოფს მშვიდობიანობას და არავის არ აძლევს საშუალებას საბჭოების ქვეყანა ჩაბას იმპერიალისტურ ომში.

მთელი ქართველი ხალხი მხურვალე მოწონების გრძნობით შეეგება ცნობას სსრ კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ.

ჩვენმა გმირმა წითელმა არმიამ და სამხედრო-საზღვაო ფლოტმა მოკლე ხნის განმავლობაში შემუსრეს სამხედრო სიმაგრეები, რომლებიც მიუვალად ითვლებოდნენ, და მიაღწიეს იმ მოთხოვნების შესრულებას, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა ლენინგრადის უშიშროების უზრუნველყოფისა და სოციალიზმის ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებზე ომის კერის ლიკვიდაციის მიზნით.

კიდევ ერთი სასტიკი დამარცხება განიცადეს ომის გამჩაღებლებმა, კიდევ ერთი დიადი გამარჯვება მოიპოვა მშვიდობიანობის სტალინურმა პოლიტიკამ, რომელსაც თქვენ განუხრელად ახორციელებთ.

გვახსოვს რა **სტალინის** მითითებანი კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ, ჩვენ ფხიზლად დავიცავთ ჩვენს სამშობლოს მტრის ხელყოფისაგან, განვამტკიცებთ სსრ კავშირის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა სამშობლოს ძლიერებას.

ძვირფასო ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ! ამ ცოტა ხნის წინათ მთელმა ჩვენმა დიადმა ქვეყანამ, სსრ კავშირის ყველა ხალხმა, რომელნიც მჭიდროდ დარაზმულნი არიან სტალინური მეგობრობით, მხურვალე სიყვარულის გრძნობით აღნიშნეს თქვენი დაბადების სახელოვანი ორმოცდაათი წლისთავი.

35 წლის რევოლუციური ბრძოლა **ლენინ-სტალინის** პარტიის დროშის ქვეშ, ათი წლის მუშაობა მუშათა და გლეხთა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მთავრობის მეთაურის პოსტზე—ასეთია სახელოვანი გზა, რომელიც თქვენ განვლეთ და რომელიც ყველა ეტაპზე აღნიშნულია შეურიგებელი ბრძოლით პარტიისა და ხალხის მტრების წინააღმდეგ, პარტიის გენერალური ხაზის თანმიმდევრობით განხორციელებისათვის.

საქართველოს ბოლშევიკების XIII ყრილობა გისურვებთ თქვენ კიდევ მრავალსა და მრავალ წელს სიცოცხლეს და ბრძოლას მთელი მსოფლიოს მშრომელთა კეთილდღეობისათვის.

მთელი ქართველი ხალხი, რომელიც ყოველდღე გრძნობს თქვენს მზრუნველობას, დახმარებასა და ყურადღებას, მხურვალე პატივისცემის, მადლობისა და მადლიერების სიტყვებით მოგმართავთ თქვენ.

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას) და მის სტალინურ ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ **სტალინს**!

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ საბჭოთა მთავრობას და მის მეთაურს, დიდი **სტალინის** ერთგულ თანამებრძოლს, სტალინური ეპოქის უდიდეს პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეს — ვიაჩესლავ მიხეილის-ძე **მოლოტოვს**!

მოსკოვი

## სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი
## ამხანაგ ლ. პ. ბერიას

**ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ!**

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIII ყრილობა მხურვალე, ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ, დიდი **სტალინის** ერთგულ თანამოსაგრეს, საბჭოთა დაზვერვის მებრძოლ ხელმძღვანელს!

საქართველოს ბოლშევიკებმა, რომლებიც თქვენ მიერ სახელოვანი სტალინური ტრადიციებით არიან აღზრდილნი, თქვენი ხელმძღვანელობით უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში.

ეს წარმატებები შედეგია იმ შეუპოვარი, ოპერატიული და კონკრეტული ბრძოლისა, რომლის სულისკვეთებითაც თქვენ მთელი რიგი წლების განმავლობაში პირადი მაგალითით ზრდიდით და აწრთობდით საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს, დაუღალავად რაზმავდით რა მათ საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ც. კ-ისა და დიდი **სტალინის** ნებასურვილის განუხრელად შესრულებისათვის.

თქვენი ხელმძღვანელობით საქართველოს ბოლშევიკებმა ულმობელად გაანადგურეს ხალხის მტერთა ძირითადი ბუდეები, თავიანთი რიგები გასწმინდეს გამცემთა და მოღალატეთაგან და, გაამახვილეს რა თავიანთი რევოლუციური სიფხიზლე, მთელი შეურიგებლობით, როგორც თქვენ ამას გვასწავლით, ამხილებენ მტერთა ნაბოლარების ოინებს.

საქართველოს პარტორგანიზაციები გაიზარდნენ მათს რიგებში მუშათა, კოლმეურნეთა და ინტელიგენციის წრიდან გამოსული მოწინავეების მიღებით; პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც მოწინავე ადამიანთა გაბედულად დაწინაურების საქმეში თქვენი მუშაობის მაგალითებს ჰბაძავენ, პარტიული აქტივისა და არაპარტიული ბოლშევიკების საუკეთესო წარმომადგენლები დააწინაურეს ხელმძღვანელებად სამეურნეო-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში.

თითქმის ხუთი წელი გავიდა იმ დღიდან, როცა თქვენ თბილისის პარტიული აქტივის კრებაზე გამოხვედით მოხსენებით „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, რომელშიც თქვენ პირველმა მიეცით მთელს პარტიას უმდიდრესი ისტორიული მასალა საქართველოს და კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების შესახებ, რომლებსაც საფუძვლები ამხანაგმა **სტალინმა** ჩაუყარა.

თქვენმა მოხსენებამ უდიდეს სიმაღლეზე აიყვანა იდეურ-პოლიტიკური აღზრდა პარტიული ორგანიზაციების რიგებში და აამაღლა მასების რევოლუციური სიფხიზლე **ლენინ-სტალინის** საქმისათვის ბრძოლაში.

ვსწავლობთ რა სტალინურ სახელმძღვანელოს —„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“ — **მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის** დიადი იდეების ამ საუნჯეს, რომელიც წარმოადგენს გენიალურ სტალინურ განძს მეცნიერული კომუნიზმის თეორიაში, ჩვენ ვეუფლებით ბოლშევიზმს და კიდევ უფრო ვიწრთობით კომუნიზმის ახალ გამარჯვებათათვის ბრძოლაში.

ითვალისწინებენ რა საერთაშორისო ვითარების დაძაბულობას, საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, რომელთაც მუდამ ახსოვთ ამხანაგ **სტალინის** მითითებანი კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ, მუშაობენ მასობრივ-თავდაცვითი მუშაობის გასაძლიერებლად, ეხმარებიან რა თავიანთი საწარმოო წარმატებებით გმირულ წითელ არმიას და სახელოვან სამხედრო-საზღვაო ფლოტს, რომლებმაც ბრწყინვალედ შეასრულეს მათს წინაშე დასახული ამოცანები დასავლეთ უკრაინაში, დასავლეთ ბელორუსიასა და ფინეთში.

საქართველოს ბოლშევიკები იბრძვიან სოციალისტური მშენებლობის ახალ წარმატებათათვის და აღწევენ მათ კონკრეტული სტილის საფუძველზე თავიანთს მუშაობაში, იყენებენ რა მუშაობის სტალინური სკოლის უძვირფასეს გამოცდილებას, დაგროვებულს თქვენი ხელმძღვანელობით.

ჩვენ ვცდილობთ მთელს ჩვენს საქმიანობაში მივბაძოთ ბრწყინვალე მაგალითებს ხელმძღვანელობისა და ოპერატიული მუშაობისა, რომლის მიხედვით თქვენ მთელი რიგი წლების განმავლობაში ზრდიდით საქართველოს კომპარტიას ბოლშევიკებისას, რომლისთვისაც თქვენს ყოველ მითითებას, თქვენს ყოველ რჩევას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

გაუმარჯოს ბოლშევიკების პარტიას და მის დიდ ბელადსა და მასწავლებელს, მშობლიურ საყვარელ **სტალინს**!

გაუმარჯოს სახელოვან საბჭოთა დაზვერვას!

გაუმარჯოს ჩვენს ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას—სტალინური ნებისყოფის ადამიანს, საბჭოთა დაზვერვის სახელოვან ხელმძღვანელს, **ლენინ-სტალინის** პარტიის ერთგულ შვილს, რომელიც თავისი სიცოცხლის ყოველ დღესა და საათს ახმარს მშრომელთა ბედნიერებისათვის, კომუნიზმისათვის ბრძოლას!

## დაიხურა აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) XVI ყრილობა

**ბაქო**, 16 მარტი (საქდესი). ყრილობამ მოისმინა ყრილობის სამანდატო კომისიის თავმჯდომარის ამხ. აზიზბეკოვის მოხსენება.

სამანდატო კომისიის მოხსენების დამტკიცების შემდეგ, ყრილობა შეუდგა აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრებად, ც. კ-ის წევრობის კანდიდატებად და სარევიზიო კომისიის წევრებად ასარჩევ პირთა დასახელებას და მათ შესახებ მსჯელობას.

ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ უკანასკნელ სხდომაზე ინფორმაციით გამოვიდა დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე ამხ. კაფარზადე. დელეგატები მქუხარე, ალტაცებული ოვაციით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველ წევრად ერთსულოვნად არჩეულია აზერბაიჯანის პარტიული ორგანიზაციის ფუძემდებელი—ამხანაგი **სტალინი**.

ყრილობამ უდიდესი აღფრთოვანებით გაუგზავნა მისალმების დეპეშა ამხანაგ **სტალინს**.

ამით დაამთავრა თავისი მუშაობა აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) XVI ყრილობამ.

* * *

დღეს საღამოს შესდგა აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობის პირველი პლენუმი. აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულ იქნა ამხ. **მ. ჯ. ბაგიროვი**, მეორე მდივნად—ამხ. **პ. ფ. ჩეპლაკოვი**, მესამე მდივნად—ამხ. **გ. ა. კარკარიანი**, მდივნად პროპაგანდის დარგში—ამხ. **მ. ტ. იაკუბოვი**, მდივნად კადრების დარგში—ამხ. **ა. ს. გეზალოვი**.

## საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში

### ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის მოხსენება 1940 წლის 16 მარტს

ამხანაგებო!

საქართველოს კომუნისტური პარტიის XI ყრილობის შემდეგ, რომელზედაც არჩეულ იქნა ცენტრალური კომიტეტის ახლანდელი შემადგენლობა, განვლო 1 წელმა და 9 თვემ.

ჩვენი პარტიის ცხოვრებაში ამ პერიოდში უდიდესი მოვლენა იყო მოწვევა XVIII პარტიული ყრილობისა, რომელმაც განსაზღვრა სსრ კავშირში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის გზები.

XVIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი საფუძვლად დაედო ბოლშევიკური პარტიის მთელ მუშაობას. ამ გადაწყვეტილებათა შესრულება უზრუნველჰყოფს ჩვენი სამშობლოს სამეურნეო, კულტურული, სამხედრო ძლიერების განუხრელ და სწრაფ ზრდას, ჩვენი სამშობლოსი, რომელიც გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევს ბოლშევიკების პარტიის და თანამედროვეობის უდიდესი ადამიანის, ხალხთა მასწავლებლისა და ბელადის ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით. **(მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია. ყველანი ფეხზე დგებიან).**

ყრილობის გადაწყვეტილებებმა უდიდესი როლი შეასრულეს მშვიდობიანობის შენარჩუნებისა და საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეში.

დაწყებული მეორე იმპერიალისტური ომის ვითარებაში სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გენიალური ანალიზის საფუძველზე ამხანაგმა **სტალინმა** თავის მოხსენებაში XVIII ყრილობაზე დაუსახა პარტიას შემდეგი ამოცანები საგარეო პოლიტიკის დარგში:

„1. მომავალშიც გაატაროს მშვიდობიანობისა და ყველა ქვეყანასთან საქმიანი კავშირის განმტკიცების პოლიტიკა;

2. დაიცვას სიფრთხილე და საშუალება არ მისცეს ომის პროვოკატორებს, რომლებიც მიჩვეული არიან სხვისი ხელით ნარის გლეჯას, კონფლიქტებში ჩაითრიონ ჩვენი ქვეყანა;

3. ყოველნაირად განამტკიცოს ჩვენი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო წითელი ფლოტის საბრძოლო ძლიერება;

4. განამტკიცოს მეგობრობის საერთაშორისო კავშირი ყველა ქვეყნის მშრომელებთან, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ხალხთა შორის მშვიდობიანობითა და მეგობრობით“.

ამხანაგ **სტალინის** ამ მითითებათა განუხრელი განხორციელებით ჩვენმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ჩაშალეს ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტების მუხანათური გეგმები, რომლებიც მიმართული იყო მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ.

სსრ კავშირსა და გერმანიას შორის თავდაუსხმელობის შესახებ ხელშეკრულების დადების შემდეგ, წარსული მტრობის ნაცვლად, რომელსაც ყოველნაირად აღვივებდნენ ომის გამჩაღებლები, დამყარდა მეგობრობა და პოლიტიკური თანამშრომლობა, რომელიც დაფუძნებულია ორივე ქვეყნის ურთიერთ ინტერესების მტკიცე ბაზაზე.

სსრ კავშირსა და გერმანიას შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარება მძიმე ლახვარი იყო ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებისათვის, რომლებსაც უყვართ სხვისი ხელით ნარის გლეჯა.

ამავე დროს, ეკონომიური კრიზისის გავლენით, იმპერიალისტური წინააღმდეგობანი კაპიტალიზმის ბანაკში უკიდურესობამდე გამწვავდა. უკვე 1938 წელს მეორე იმპერიალისტურ ომში ჩათრეულ იქნა 500 მილიონზე მეტი კაცი. 1939 წელმა მოიტანა ამ ომის მასშტაბების შემდგომი გაფართოება. ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებმა პანების პოლონეთი ჩააბეს გერმანიასთან შეიარაღებულ კონფლიქტში, ხოლო 1939 წლის 3 სექტემბერს, საბოლოოდ ჩამოიგლიჯეს რა მშვიდობის მოყვარეობის ნიღაბი, თვითონ გამოუცხადეს ომი გერმანიას. ამჟამად მეორე იმპერიალისტურ ომში, რომელიც დასავლეთ ევროპას მოედო, ცოტად თუ ბევრად უკვე ჩაბმულია დედამიწის სფეროს მოსახლეობის ნახევარზე მეტი.

პროვოკაციულად აწყობდნენ რა კონფლიქტს გერმანიასა და პოლონეთს შორის, ომის ინგლისელ-ფრანგი გამჩაღებლები ისახავდნენ მეტად ფართო მიზნებს, მაგრამ ეს გეგმები არ განხორციელდა.

ხელოვნურად შექმნილმა პოლონეთის სახელმწიფომ, რომელიც სხვა ხალხთა ჩაგვრის ხარჯზე არსებობდა, ვერ გაუძლო სამხედრო გამოცდას და უმოკლეს ვადაში დაიშალა. ამით შესწყდა არსებობა ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის იარაღისა აღმოსავლეთ ევროპაში.

ომის-გამჩაღებლებმა არ მოისურვეს შერიგება საერთაშორისო ასპარეზზე ძალთა შეცვლილ შეფარდებასთან. ეშინოდათ რა თავიანთი მსოფლიო პოზიციების, თავიანთი უდიდესი კოლონიური სამფლობელოების დაკარგვისა, ისინი დაადგნენ გერმანიის წინააღმდეგ ომის გზას.

ინგლისელ-ფრანგმა აგრესორებმა ვერ მოახერხეს ამ ომის იმპერიალისტური, დამპყრობელური ხასიათის შენიღბვა. საფრანგეთში, ინგლისში რეაქციის გააფთრებული შეტევის ვითარებაში თვალთმაქცური ლაპარაკი „დემოკრატიისათვის“ ბრძოლის, „ჰიტლერიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ნაკლებ დამაჯერებელი აღმოჩნდა. უკანასკნელ ხანებში ლაყბობა „ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ბრძოლის“ შესახებ თანდათანობით ჰქრება ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტების ოფიციალური ლექსიკონიდან.

შეიძლება ბურჟუაზიული პრესის ბევრი გამოთქმების მოყვანა, რომლებიც მოწმობენ იმას, რომ ინგლისი და საფრანგეთი ომს აწარმოებენ უხეში იმპერიალისტური მიზნებით.

ლონდონის გაზეთი „დეილი მეილ“ მავნედაც კი სთვლის ლოზუნგს „ჰიტლერის წინააღმდეგ ბრძოლის“ შესახებ, ვინაიდან, — აცხადებს იგი,— „ჩვენ ვებრძვით გერმანელ ერს“.

ინგლისელი ლეიბორისტების ორგანო „დეილი ჰერალდი“ სწერს:

„გერმანია მთლიანად უნდა გავანადგუროთ და დავამყაროთ დასავლეთის საზღვარი რეინზე და აღმოსავლეთისა — ოდერზე, საქსონია მივცეთ ჩეხოსლოვაკიას და გოლშტინია — დანიას“.

პარიზის „ტანი“ აცხადებს:

„ინგლისის მთავრობის მიზანია... გერმანიის ახლანდელი იმპერიის ნაცვლად შექმნას ევროპის შეერთებული შტატები და ამით დაანაწილოს გერმანია, დაჰყოს იგი პატარა სახელმწიფოებად: პრუსიად, ბავარიად და სხვ.“.

ასეთია „ახალი ვერსალის“ გეგმები, რომლებსაც გულმოდგინედ აწყობენ ლონდონსა და პარიზში.

ამასთან ერთად, ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებს არ უთქვამთ უარი სსრ კავშირსა და მის მეზობლებს შორის პროვოკაციის გზით ომის მოწყობის გეგმებზე.

ბრძნული სტალინური საგარეო პოლიტიკა ამჟღავნებს და ფუშავს ომის გამჩაღებელთა ოინებს. საბჭოთა კავშირის გავლენისა და ძალღონის მეოხებით აღმოსავლეთ ევროპაში უზრუნველყოფილია მტკიცე მშვიდობიანობა.

პოლონეთ-გერმანიის ომის სწორედ 10-15 დღის შემდეგ ამბების განვითარებამ გამოიწვია ის, რომ „პოლონეთი, — როგორც სთქვა ამხანაგმა მოლოტოვმა რადიოთი წარმოთქმულ სიტყვაში 1939 წლის 17 სექტემბერს, — ხელსაყრელ ასპარეზად გადაიქცა ყოველგვარი შემთხვევითობისა და მოულოდნელობისათვის, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნან სსრ კავშირს“. საბჭოთა კავშირი უკვე გულგრილად ველარ მოეკიდებოდა შექმნილ მდგომარეობას. საბჭოთა მთავრობა გულგრილად ვერ მოეკიდებოდა აგრეთვე 13 მილიონი ჩვენი თვისტომი ძმების—უკრაინელებისა და ბელორუსების ბედიღბალს, რომლებიც ბედის ანაბარად მიატოვეს პანების პოლონეთის უბადრუკმა მმართველებმა.

სსრ კავშირის უშიშროებისათვის შექმნილი საფრთხე ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის ძლევამოსილი მოქმედებით თავიდან იქნა აცილებული, 13 მილიონი უკრაინელი და ბელორუსი განთავისუფლებულ იქნა პოლონელი პანების ულლისაგან და სსრ კავშირის საზღვარმა მნიშვნელოვნად წაიწია დასავლეთისაკენ. **(ტაში).**

დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის შეერთება საბჭოთა უკრაინასა და საბჭოთა ბელორუსიასთან წარმოადგენს ჩვენს ერთერთ ყველაზე სახელოვან მიღწევას, რომლითაც შეუძლიათ იამაყონ საბჭოთა კავშირმა და ჩვენმა პარტიამ, რომლებიც ერთგული არიან თავიანთი პროლეტარული ინტერნაციონალური მოვალეობისა.

უდიდესი მნიშვნელობა აქვთ აგრეთვე ხელშეკრულებებს ურთიერთ დახმარების შესახებ, რომლებიც საბჭოთა კავშირმა დასდო ბალტიისპირა ქვეყნებთან — ესტონეთთან, ლატვიასთან და ლიტვასთან. ეს ხელშეკრულებები მთლიანად და სავსებით უპასუხებენ სსრ კავშირისა და ბალტიისპირა ქვეყნების ხალხთა ინტერესებს, ერთხელ და სამუდამოდ ულებენ ბოლოს ომის კერად, სსრ კავშირის წინააღმდეგ პლაცდარმად ამ ქვეყნების გადაქცევის იმპერიალისტურ გეგმებს.

საბჭოთა კავშირმა ერთხელ კიდევ ცხადჰყო მცირე ხალხების ინტერესთა პატივისცემის პრინციპისადმი თავისი ერთგულება, დაუბრუნა რა ლიტვას მისი დედაქალაქი—ქალაქი ვილნო და ვილნოს ოლქი, რომლებიც თეთრპოლონელმა ბანდიტებმა ჯერ კიდევ 1920 წელს დაიპყრეს.

განიცადეს რა მარცხი სსრ კავშირსა და გერმანიას შორის ომის პროვოკაციულად გამოწვევის თავიანთი გეგმების განხორციელებაში, ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტები მაინც ვერ ურიგდებოდნენ იმას, რომ სსრ კავშირი ნეიტრალური დარჩენილიყო და განმტკიცებულიყო. მათ უბიძგეს ფინეთს საბჭოთა ქვეყანასთან ომისაკენ, შეჰპირდნენ მათ ფართო დახმარებას და მხარდაჭერას, მაგრამ ჩვენი მტრების ეს ცდაც მარცხით დამთავრდა.

მსოფლიო რეაქცია ფიქრობდა, რომ საუკეთესო ბურჟუაზიული სამხედრო სპეციალისტების მიერ აგებული გრანდიოზული სიმაგრეები დაუძლეველი აღმოჩნდებოდა მუშურ-გლეხური წითელი არმიის ნაწილებისათვის. ამ სიმაგრეების ხაზის გადაღმა ისინი ოცნებობდნენ შეენარჩუნებინათ და გაეჩაღებინათ ომის საშიში კერა. ომის გამჩაღებელთა ეს იმედები ჩაიფუშა.

წითელმა არმიამ განსაკუთრებით მძიმე ბუნებრივ პირობებში დალეწა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების მიერ შექმნილი სიმაგრეები.

დიდი **სტალინის** სახელით მიდიოდნენ ჩვენი ჯარები ბრძოლებში, იჩენდნენ ლეგენდარულ გმირობას და მამაცობას.

მას შემდეგ, რაც ფინეთის სიმაგრეები გარღვეულ იქნა და ციხე-სიმაგრე ვიბორგს შემოერტყა ალყა, წითელი არმიის წინაშე გაიხსნა პირდაპირი გზა ფინეთის ცენტრალური რაიონებისა და მისი დედაქალაქისაკენ. ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტების მიერ მოტყუებული ფინეთის მთავრობა მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს და მოითხოვა ზავი.

12 მარტს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა სამშვიდობო ხელშეკრულება სსრ კავშირსა და ფინეთს შორის. ეს დოკუმენტი მოწმობს მძლავრი საბჭოთა კავშირის დიდსულოვნებასა და მშვიდობისმოყვარეობას. სახელოვანი წითელი არმიის მთავარი მიზანი მიღწეულია: **ლენინის** ქალაქის და ჩვენი სამშობლოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვრების უშიშროება სავსებით უზრუნველყოფილია. ფინეთი უკვე აღარ არის შესაძლო პლაცდარმი სსრ კავშირზე თავდასხმისა.

ფინეთის მაგალითი ჭკუისსასწავლებელი გაკვეთილია იმ აგრესიული სახელმწიფოების ჭკუამოკლე მმართველთათვის, რომლებიც იმდენად სულელები იყვნენ, რომ თავიანთი ინგლისელი ბატონის წაქეზებით აწყობდნენ სოციალიზმის დიადი ქვეყნის საზღვრებზე თავდასხმის მათთვისვე სახიფათო გეგმებს.

ეს საზღვრები წმინდათა-წმინდა და ხელშეუხებელია.

საბჭოთა კავშირი მშვიდობიანობის მტკიცე მომხრეა, თანმიმდევრული მებრძოლია იმპერიალისტური ომების წინააღმდეგ.

„ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობიანობას და საქმიანი კავშირის განმტკიცებას ყველა ქვეყანასთან, — ამბობდა ამხანაგი **სტალინი** XVIII ყრილობაზე; ვდგევართ და ვიდგებით ამ პოზიციაზე, რამდენადაც ეს ქვეყნები ასეთსავე ურთიერთობაში იქნებიან საბჭოთა კავშირთან, რამდენადაც ისინი არ შეეცდებიან დაარღვიონ ჩვენი ქვეყნის ინტერესები“.

ახლანდელი ომის მიმართ საბჭოთა კავშირის ნეიტრალიტეტის პოზიცია უცვლელია. ნეიტრალიტეტის ჩვენი პოზიცია მთლიანად და სავსებით იმსახურება მშვიდობიანობის ინტერესებს, მიმართულია ომის რაც შეიძლება სწრაფად დამთავრებისაკენ, ვინაიდან, როგორც მიგვითითებდა ამხანაგი **სტალინი**, საბჭოთა კავშირი „სთვლიდა და სთვლის რომ ომის რაც შეიძლება სწრაფად დამთავრება

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)
]

# საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობა

# საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში

## ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის მოხსენება 1940 წლის 16 მარტს

(გაგრძელება)

ძირეულად შეამსუბუქებდა ყველა ქვეყნისა და ხალხის მდგომარეობას".

უჭირავს რა ნეიტრალიტეტის პოზიცია, საბჭოთა კავშირი ანვითარებს თავის მეგობრულ ურთიერთობას და პრაქტიკულ ეკონომიურ თანამშრომლობას გერმანიასთან. გერმანია-საბჭოთა კავშირის სამეურნეო შეთანხმება, რომელიც ამასწინათ დაიდო, იმის მაჩვენებელია, რომ სსრ კავშირსა და გერმანიას შორის მეგობრობა მტკიცდება, რომ მას მტკიცე ბაზა აქვს შემდგომი განვითარებისათვის.

სსრ კავშირის ნეიტრალიტეტის პოლიტიკა ძირეულად განსხვავდება ზოგიერთი ბურჟუაზიული ქვეყნის თვალთმაქცური „ნეიტრალიტეტისაგან". ჩვენი ნეიტრალიტეტი მიმართულია საომარ მოქმედებათა ასპარეზის შემცირებისა და იმპერიალისტური ომის სრული შეწყვეტისაკენ. ამავე დროს ზოგიერთი ბურჟუაზიული ქვეყნებისათვის „ნეიტრალიტეტი" მხოლოდ საშუალებაა ომის გაჩაღების პოლიტიკის დასაფარავად. ამ ქვეყნების ბურჟუაზიის სწყურია გამდიდრება სხვა ხალხების სისხლისა და განადგურების ხარჯზე.

ასეთი „ნეიტრალიტეტი" ხელსაყრელია ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებისათვის, რომლებიც მისწრაფიან გააფართოონ ომის მასშტაბები, გადააქციონ იგი მსოფლიო ომად. მართალია, აგრესორები ჯერჯერობით ვერ დაიკვეხნიან წარმატებებს ამ დარგში. სკანდინავიაში ისინი დამარცხდნენ, ბალკანეთშიც დღეისათვის ვერ მიაღწიეს თავიანთი მიზნების განხორციელებას. მაგრამ ინგლის-საფრანგეთის ბლოკის მხარეზე ომში ახალი ქვეყნების ჩაბმის, საომარ მოქმედებათა ახალი თეატრების შექმნის ცდები დაჟინებით გრძელდება.

ჩვენი მეზობელი — თურქეთი, როგორც ცნობილია, სავსებით ჩათრეულია ინგლისისა და საფრანგეთის გავლენის ორბიტში. ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტები გაძლიერებულ სამხედრო მზადებას აწარმოებენ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში.

ასეთია მოკლედ მეორე იმპერიალისტური ომის ვითარება.

იმპერიალისტურ ომში ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზია ეძებს გამოსავალს მძიმე საშინაო მდგომარეობიდან. იგი ომს იყენებს ხალხის მასების გასაძარცვად, რეაქციის გასაძლიერებლად, მუშათა მოძრაობის ჩასახშობად. ეს პოლიტიკა ტარდება სოციალ-დემოკრატიის რეაქციული ლიდერების პირდაპირი მხარდაჭერით, რომლებიც ცდილობენ გაამართლონ მძარცველური ომი, რომლებიც მასებს ჰგზავნიან გასაჟლეტად ფინანსიური კაპიტალის ინტერესებისათვის.

მსოფლიო ომის ხანძრის გაჩაღებით ინგლის-საფრანგეთის აგრესორებმა საშიში თამაში გამართეს. აგრესორთა ზურგი არ არის მტკიცე. დღითიდღე იზრდება და ფართოვდება ანტისაომარი მოძრაობა ინგლისში, საფრანგეთში, ძლიერდება ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იმპერიალიზმის მიერ დამონებულ კოლონიურ ქვეყნებში.

ევროპის ომის დაძაბულ ვითარებაში მთელი მოწინავე პროგრესიული კაცობრიობის იმედები მიმართულია მძლავრი საბჭოთა კავშირისაკენ, რომელიც თავისი გენიალური ბელადის—დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით იცავს მშვიდობიანობის ინტერესებს და განუხრელად, თავისი ურყევი ძალისა და ძლიერების შეგნებით, განაგრძობს ძლევამოსილ სვლას კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ. **(ტაში).**

კაპიტალისტურ სამყაროს, გახვეულს მეორე იმპერიალისტური ომის ალში, ომისა, რომელიც ბოჭავს ხალხთა ცხოვრებას და იწვევს საწარმოო ძალთა დაუნდობელ ნგრევასა და მოსპობას, უპირისპირდება საბჭოთა ქვეყნის აყვავებული ეკონომიკა.

XVIII ყრილობაზე ამხანაგმა **სტალინმა** პარტიის საშინაო პოლიტიკის დარგში ძირითად ამოცანად დაუსახა:

„შემდგომ უფრო გავშალოთ ჩვენი მრეწველობის აღმავლობა, შრომის ნაყოფიერების ზრდა, წარმოების ტექნიკის გაუმჯობესება იმ ანგარიშით, რომ, მას შემდეგ, რაც უკვე გავუსწარით მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს წარმოების ტექნიკის და მრეწველობის ზრდის ტემპების დარგში, — გავუსწროთ მათ ეკონომიურადაც უახლოესი 10-15 წლის განმავლობაში".

სოციალისტურმა მეურნეობამ 1939 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ამ მიმართულებით საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატების სახელმწიფო მრეწველობის პროდუქციამ 1939 წელს შეადგინა 96,5 მილიარდი მანეთი, ე. ი. 1938 წელთან შედარებით გადიდდა 14,7 პროცენტით.

დიდ წარმატებებს მიაღწია აგრეთვე სოციალისტურმა მიწათმოქმედებამ. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა საბჭოთა კავშირის ზოგიერთ მხარეებსა და ოლქებში, მაღალი მოსავალი მიიღეს და მნიშვნელოვნად გაადიდეს თავიანთი შემოსავალი.

ხელმძღვანელობს რა ამხანაგ **სტალინის** მითითებებით, პარტია წარმატებით ახდენს მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციას სახალხო მეურნეობაში. ახსოვთ რა ამხანაგ **სტალინის** სიტყვები კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ, პარტია და ხალხი განაძლიერებენ მტრების ნაბოლარების დაუნდობლად ამოთხვრას და განამტკიცებენ ჩვენს საბჭოთა დაზვერვას.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები, რაც 1939 წლის 24 დეკემბერს ჩატარდა, იყო მთელი საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, კომუნიზმის მშენებლობის საქმისადმი მისი ერთგულების, სამშობლოსადმი, ხალხთა ბელადის ამხანაგ **სტალინისადმი** მისი უსაზღვრო სიყვარულის მძლავრი დემონსტრაცია **(მქუხარე ტაში).**

○

საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მუშაობა საანგარიშო პერიოდში განისაზღვრებოდა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებით. ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებით საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ მიაღწია ახალ წარმატებებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში, მშრომელთა კულტურული დონისა და კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ყველა წარმატებანი წარმოადგენენ იმ უდიდესი ყურადღების შედეგს, რომელსაც გვიჩენენ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საკავშირო მთავრობა და პირადად ამხანაგი **სტალინი. (მქუხარე ოვაცია. გაისმის მისასალმებელი შეძახილები დიდი სტალინის პატივსაცემად).**

თავიანთ მიღწევებს საქართველოს ბოლშევიკები უნდა უმადლოდნენ ერთგულ სტალინელს ამხანაგ **ბერიას**, რომელმაც აღზარდა ისინი პარტიისა და დიდი **სტალინისადმი** უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გამოამჟღავნეს და მოსპეს რა ხალხის მტრები, საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა, ამხანაგ **ბერიას** ხელმძღვანელობით, ხელმძღვანელ სამუშაოზე დააწინაურეს მუშაკთა ახალი მრავალრიცხოვანი კადრები.

ახალი კადრების აღზრდისა და გაბედული დაწინაურების მეთოდებმა, რაც საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში დანერგა ამხანაგმა **ბერიამ**, დიდად შეუწყო ხელი პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო მუშაობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას.

როგორია საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შედეგები საანგარიშო პერიოდში?

## I. მრეწველობა და ტრანსპორტი

სამრეწველო პროდუქციის გამოშვება საქართველოში წლითიწლობით მატულობს.

1938 წლის განმავლობაში საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური, რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების მრეწველობის საწარმოებმა 885.840 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს. ეს გეგმის 99,2 პროცენტს შეადგენდა. გეგმის ერთგვარი შეუსრულებლობა გვქონდა საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში, რომლებმაც საწარმოო პროგრამა 97,6 პროცენტით შეასრულა. რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებმა თავისი გეგმა შეასრულეს 100,5 პროცენტით.

საწარმოო პროგრამა საერთო პროდუქციის გამოშვების დარგში 1939 წელს რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური და საკავშირო სამრეწველო სახ. კომისარიატების საწარმოებმა 102,9 პროცენტით შეასრულეს. გამოშვებულია 985.316 ათასი მანეთის პროდუქცია.

სამრეწველო სახალხო კომისარიატების პროდუქციის ზრდაზე თვალსაჩინო წარმოდგენას იძლევა შემდეგი ცხრილი:

### ცნობები საქ. სსრ სამრეწველო სახ. კომისარიატების საერთო პროდუქციის ზრდის შესახებ

(ათას მანეთობით)

| სახალხო კომისარიატების დასახელება | 1937 წ. | 1938 წ. | 1939 წ. | ზრდა 1939 წ. 1937 წელთან შედარებით |
|---|---|---|---|---|
| კვების მრეწველობის სახ. კომისარიატი . . . . . . | 164.100 | 198.000 | 235.842 | 43,7%-ით |
| ხორცისა და რძის მრეწველობის სახ. კომისარიატი . | 24.205 | 25.573 | 28.201 | 16,5 " |
| მსუბუქი მრეწველობის სახ. კომისარიატი . . . . . | 57.782 | 60.918 | 73.424 | 27,0 " |
| საფეიქრო მრეწველობის სახ. კომისარიატი . . . . | 54.984 | 56.233 | 67.581 | 23,0 " |
| ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატი . . . | 50.314 | 51.952 | 58.486 | 16,2 " |
| სატყეო მრეწველობის სახ. კომისარიატი . . . . . | 18.516 | 20.349 | 21.508 | 16,1 " |
| სახკომსაბჭოსთან არსებული სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთ. სამმართველო (რაიაღმასკომების საწარმოთა გამოკლებით) . . . . . . . . . . . | 4.086 | 4.240 | 5.026 | 23,0 " |
|  | 371.953 | 417.265 | 490.068 | 31,7%-ით |

გადავდივარ მრეწველობის ძირითადი დარგების მუშაობის დახასიათებაზე.

### ქვანახშირი

ქვანახშირის მოპოვების გადიდების დარგში საანგარიშო პერიოდში მიღწეულია ერთგვარი წარმატებანი.

ტრესტმა „ტყიბულქვანახშირმა" ქვანახშირის ამოღების გეგმა 1938 წელს 104,3 პროცენტით შეასრულა. ნაცვლად 250 ათასი ტონა ქვანახშირისა ფაქტიურად ამოღებულ იქნა 260.660 ტონა. ხოლო 1939 წლის გეგმა 310 ათასი ტონის რაოდენობით ტრესტმა მთლიანად შეასრულა და მოგვცა ქვანახშირის ამოღების გადიდება 1938 წელთან შედარებით 19 პროცენტით.

1939 წელი პირველი წელი იყო, როდესაც ტრესტმა „ტყვარჩელქვანახშირმა" თავისი საწარმოო გეგმა შეასრულა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 220 ათასი ტონა ქვანახშირისა ამოღებულ იქნა 237.400 ტონა. 1938 წელთან შედარებით გადიდება 43 პროცენტს შეადგენდა.

1940 წლისათვის გეგმით გათვალისწინებულია ქვანახშირის ამოღების გადიდება ტყიბულში 45 პროცენტით და ტყვარჩელში 36 პროცენტით.

შახტებში მექანიზმების უკეთესად გამოყენებისა და სტახანოვური მოძრაობის განვითარების შედეგად, შრომის ნაყოფიერება ერთ მუშაზე ქვანახშირის მრეწველობაში 1939 წელს 20 პროცენტით გაიზარდა 1938 წელთან შედარებით. შესაბამისად გადიდდა მუშათა ხელფასიც. ქვანახშირის თვითღირებულება ტყიბულში თუმცა 15 პროცენტით შემცირდა 1938 წელთან შედარებით, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ დასულა გეგმით გათვალისწინებულ დონემდე. ტყვარჩელში თვითღირებულება 5 პროცენტით შემცირდა გეგმასთან შედარებით.

ამ მიღწევებთან ერთად, ორივე ტრესტს ბევრი სერიოზული ნაკლი აქვს მუშაობაში. ტყვარჩელში მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმა 1939 წელს სულ 35,5 პროცენტით შესრულდა. ტყიბულში მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით. ქვანახშირის ხარისხი კვლავ დაბალია. როგორც ტყიბულიდან, ისე ტყვარჩელიდან ჩვენი საწარმოები გადიდებული ნაცრიანობის ქვანახშირს ღებულობენ. ამ ბოროტებასთან ტრესტების ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ არ აწარმოებს საკმაო ბრძოლას.

1939 წელს მოწყობილ იქნა ახალი შახტი გელათში, 60 ათასი ტონა ქვანახშირის წლიური სიმძლავრით. ამ შახტის მშენებლობა 3,5 მილიონი მანეთი დაჯდა. შახტი საექსპლოატაციოდ გადაეცა 1939 წლის 5 ნოემბერს. დეკემბრის განმავლობაში მან უკვე მოგვცა 2.000 ტონა ქვანახშირი. 1940 წელს ქვანახშირის ამოღებამ ამ შახტში 50.000 ტონას უნდა მიაღწიოს.

როგორც ცნობილია, ამხანაგმა **სტალინმა** საქართველოს ბოლშევიკებს დაუსახა ამოცანა — უზრუნველჰყონ საქართველოს და ამიერ-კავკასიის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ადგილობრივი ქვანახშირით. ამ საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ორ მძლავრ შახტს, რომლებიც ტყიბულში შენდება. დასავლეთი შახტის მშენებლობაზე, რომლის სიმძლავრე წელიწადში 650 ათასი ტონა ქვანახშირი იქნება, უკვე დაბანდებულია 13 მილიონ მანეთზე მეტი. ამ შახტის მშენებლობის საგეგმო ღირებულება 16.888 ათას მანეთს შეადგენს. შახტი საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს მიმდინარე წელს.

აღმოსავლეთ შახტში, რომლის ღირებულება 20 მილიონ მანეთს შეადგენს, ჯერჯერობით ათვისებულია 7 მილიონ მანეთამდე. ახალი შახტები ტყიბულში მექანიზებული იქნება და ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით იქნება აღჭურვილი. მათი დროულად დამთავრება საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ერთერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

ქვანახშირის რაიონების რაიონულმა კომიტეტებმა და ტრესტების ხელმძღვანელებმა გადაჭრით უნდა აღმოფხვრან მოსამზადებელ სამუშაოთა ჩამორჩენა და უზრუნველჰყონ არსებული მექანიზმების მთლიანად გამოყენება. ამასთან ერთად, საჭიროა ყოველდღიური ზრუნვა მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და სამუშაოზე მათი შენარჩუნებისათვის. ბოლო უნდა მოეღოს ავარიებს შახტებში და უზრუნველყოფილ იქნას სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლა. მხოლოდ ამ პირობით შესძლებენ ტრესტები „ტყიბულქვანახშირი" და „ტყვარჩელქვანახშირი" ქვანახშირის ამოღების გეგმის შესრულებას.

### ნავთი

საქართველოს კომპარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი სისტემატიურად აქცევდა ყურადღებას „საქნავთის" მუშაობას.

გასულ წელს, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თხოვნით „საქნავთი" გამოყოფილ იქნა „აზნეფტედობიჩის" სისტემიდან, როგორც დამოუკიდებელი ტრესტი, და უშუალოდ დაექვემდებარა სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სახ. კომისარიატის ნავთის მოპოვების კავკასიის მთავარსამმართველოს.

შეიქმნა ნავთის სარეწავები მირზაანსა და პატარა შირაქში. მიმდინარე წლის მეორე ნახევრიდან ნავთის ამოღების განვითარების მიხედვით, მოეწყობა სარეწავები სუფსასა და ნორიოში.

ტრესტში განუხრელად იზრდება ნავთის ამოღება. თუ 1937 წელს ნავთის ამოღებას 100 პროცენტად მივიღებთ, 1938 წელს ნავთის ამოღება შეადგენდა 159 პროცენტს, 1939 წელს კი —215 პროცენტს. ნავთის ამოღების გეგმა 1940 წლის პირველ ორ თვეში შესრულებულია 105 პროცენტით.

საექსპლოატაციო ჭაბურღილების რაოდენობა 1939 წელს გასამკეცდა.

წარსულ წლებთან შედარებით შესამჩნევი გაუმჯობესება გვაქვს ბურღვის დარგშიც. თუ 1937 წელს ბურღვის მეტრაჟს 100 პროცენტად მივიღებთ, ზრდა 1938 წელს შეადგენს 128 პროცენტს, 1939 წელს კი — 298 პროცენტს.

მიუხედავად ამისა, ბურღვა ყველაზე ჩამორჩენილ უბნად უნდა ჩაითვალოს „საქნავთის" მუშაობაში. განსაკუთრებით ძლიერ ჩამორჩება საძიებო ბურღვა. ტრესტის ხელმძღვანელობამ უახლოეს დროში უნდა გამოასწოროს ეს საქმე.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი სერიოზულ ყურადღებას აქცევდა ადგილობრივი მოსახლეობიდან ნავთის მრეწველობის მუშაკთა კადრების შექმნას. შერჩეულ იქნენ და ბაქოში გაიგზავნენ ახალგაზრდა სპეციალისტები ნავთის საქმის შესასწავლად. ეს ამხანაგები დაბრუნდნენ და მუშაობენ „საქნავთის" სისტემაში გეოლოგებად, ინჟინრებად ბურღვისა და ექსპლოატაციის დარგში. სულ საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა კურსებზე მომზადებულია ბურღვისა და ჭაბურღილთა ექსპლოატაციის და ნავთის გადამუშავების დარგში 478 სპეციალისტი, ოსტატი და კვალიფიციური მუშა.

ნავთის მრეწველობის მუშაკთა კადრების მომზადება კიდევ უფრო ფართოდ უნდა გაიშალოს. ამ საქმეში ტრესტ „საქნავთს" დიდი დახმარება უნდა გაუწიონ წითელწყაროს, თბილისის და ლანჩხუთის რაიონულმა პარტორგანიზაციებმა.

საქართველოს ნავთის მრეწველობის მუშაობაში ვიწრო ადგილს წარმოადგენს დამხმარე მეურნეობისა და გზების მშენებლობის არასაკმაო ტემპები. კაპიტალური მშენებლობისათვის გაცემული ასიგნობანი ხშირად გამოუყენებელი რჩება. ბაქოს ტრესტ „აზნეფტემონტაჟსტროის" მიერ შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი, კერძოდ მირზაანში წყალსადენის მშენებლობას დარგში, დაბალი აღმოჩნდა. წყალსადენს ხან ერთ, ხან მეორე ადგილას წყალი გასდის. ნავთსადენებისა და საცავების მშენებლობა შეუწყნარებლად ნელი ტემპით ვითარდება.

ტრესტის მმართველმა ამხ. მგელაძემ, მთავარმა გეოლოგმა ამხ. კარასევმა და „საქნავთის" მთელმა ხელმძღვანელობამ თავისი ყურადღება უნდა მიაპყრონ ძირითადად გეოლოგიურ სამუშაოთა გაუმჯობესებისა და მშენებლობის საჭირო ტემპების უზრუნველყოფის საკითხებს.

ამხანაგი **ბერია** განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და აქცევს საქართველოს ნავთის მრეწველობას. დიდ დახმარებას უწევს საქართველოს ნავთის მრეწველობის მუშაკებს აგრეთვე ამხანაგი **ლ. მ. კაგანოვიჩი.** ეს გვავალებს ჩვენ გავაკეთოთ ყოველივე აუცილებელი იმისათვის, რომ საქართველო უახლოეს წლებში გახდეს საბჭოთა კავშირის ერთერთ სერიოზულ ნავთისმომპოვებელ რაიონად.

### მარგანეცის მრეწველობა

მეორე ხუთწლედში მარგანეცის ამოღება გაიზარდა ოთხჯერ და კიდევ მეტად და 1937 წელს 1.650 ათას ტონას მიაღწია.

ტრესტის არადამაკმაყოფილებელი მუშაობისა და ჭიათურის რაიონული პარტიული ორგანიზაციის სუსტი დახმარების შედეგად, მარგანეცის ამოღების ის დონე, რომელიც მიღწეულ იქნა 1937 წლის დამლევს და 1938 წლის პირველ ნახევარში, შემდეგში ვერ იქნა შენარჩუნებული. სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა 1938 წელს შესრულებულ იქნა მხოლოდ 84,4 პროცენტით, 1939 წლის გეგმა—88,1 პროცენტით.

გეგმის შეუსრულებლობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს მექანიზმების — სანგრევი უროების, საყელავი მანქანების ცუდად გამოყენება, შრომის ცუდი ორგანიზაცია და მუშათა არადამაკმაყოფილებელი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება, რაც იწვევს მუშა-ხელის დიდ დენადობას. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1939 წლის განმავლობაში მარგანტრესტმა სამუშაოზე მიიღო 4.772 კაცი, ხოლო ამავე პერიოდში წარმოებიდან წავიდა 4.980 კაცი.

გეგმა შრომის ნაყოფიერების დარგში 1939 წელს მხოლოდ 95,5 პროცენტით შესრულდა. პროდუქციის თვითღირებულება, ნაცვლად შემცირებისა, 1939 წელს 9,5 პროცენტით გადიდდა.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა მომარაგება სამაგრი ხე-ტყით, განათებისათვის საჭირო ზონრით, სპეცტანისამოსითა და სხვა მასალებით.

მაღაროებში ბევრი განთავისუფლებული პარტიული და პროფკავშირული მუშაკია. მიუხედავად ამისა, პარტიულ-მასობრივი მუშაობა მეტად ცუდად არის დაყენებული. უშუალოდ მაღაროებში მომუშავე მუშების რიცხვიდან პარტიის წევრი და კანდიდატი მხოლოდ 216 კაცია, ე. ი. 9 პროცენტი. კომუნისტების უმრავლესობა მუშაობს კანტორებში და მიწის ზედაპირზე, მაშინ როდესაც მარგანეცის ამოღების წარმატება უშუალოდ შახტებში სწყდება.

ყოველივე ეს იწვევს იმას, რომ მარგანეცის მრეწველობა თვიდან-თვემდე ვერ ასრულებს საწარმოო დავალებებს.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა სამჯერ შეამოწმა მარგანეცის მრეწველობის მუშაობა. ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და სახკომსაბჭომ 1939 წლის 4 ოქტომბერს მიიღეს ვრცელი გადაწყვეტილება მარგანტრესტის მუშაობის გაუმჯობესებისა და მარგანეცის მადნის ამოღების გადიდების შესახებ. საკავშირო მთავრობის წინაშე დასმულ იქნა მთელი რიგი საკითხები, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მარგანეცის მრეწველობისათვის.

ამის შედეგად. სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს გადაწყვეტილებით მარგანტრესტმა დიდი ფინანსიური დახმარება მიიღო. ტონა მარგანეცის საშუალო საგასაცემო ფასი 22 მან. 54 კაპიკიდან გადიდებულია 32 მანეთამდე. გეგმის შესრულებისას ეს უზრუნველჰყოფს მარგანტრესტის უზარალოდ მუშაობას.

ტრესტმა დიდი რაოდენობით მიიღო მასალები, სპეცტანისამოსი, აგრეთვე სამაგრი ხე-ტყე. 1939 წლის დამლევიდან შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ მარგანტრესტი მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებდეს გეგმას. მაგრამ ჯერჯერობით მარგანეცის მრეწველობის მუშაობაში სერიოზული გაუმჯობესება არა ჩანს.

ასეთი მდგომარეობის ერთერთ ძირითად მიზეზს ის წარმოადგენს, რომ ჭიათურის რაიონის პარტიული ორგანიზაცია საკმაო დახმარებას არ უწევს მარგანტრესტს. რაიკომი ხშირად იხილავს მაღაროების მუშაობის საკითხებს, გამოაქვს გადაწყვეტილებანი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს გადაწყვეტილებები ყოველთვის როდი სრულდება. ჭიათურის რაიკომი ცუდად როდი ეხმარება მარგანტრესტს კოლმეურნეობებში მუშა-ხელის შეგროვებაში. მაგრამ აქაც საქმე ბოლომდე არ მიჰყავთ. მუშების შეგროვებასთან ერთად საკმაო ზომებს არ იღებენ წარმოებაში მათი შენარჩუნებისათვის. რაიკომი არ აწარმოებს კოლმეურნეობებში მუშაობას იმისათვის, რომ გამოჰყონ და მრეწველობაში სამუშაოდ გაგზავნონ საუკეთესო კოლმეურნენი. ამის შედეგად მაღაროებში გაგზავნილ კოლმეურნეთა რიცხვში ხშირად მოჰყვებიან ხოლმე უქნარები, რომლებიც დიდი ხანია დროა კოლმეურნეობებიდანაც გაეძევებინათ. ეს ადამიანები, რა თქმა უნდა, დიდხანს არ რჩებიან მაღაროებში.

ჩვენი მეტალურგია უდიდეს მოთხოვნილებას აყენებს ჭიათურის მარგანეცზე. მარგანეცის მადანი აგრეთვე ჩვენი ექსპორტის ერთერთ სერიოზულ დარგს შეადგენს. ყოველივე ეს გვავალებს სანიმუშოდ დავაყენოთ მარგანეცის მრეწველობის მუშაობა.

ჩვენ უნდა დავაჩქაროთ იმ ახალი გამამდიდრებელი ფაბრიკების საექსპლოატაციოდ გადაცემა, რომლებიც ამჟამად შენდება, აგრეთვე ფართოდ გავშალოთ საბინაო მშენებლობა, ყოველდღიურად ვიზრუნოთ მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს სტახანოვური მოძრაობის განვითარებას. ადმინისტრაციის, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების სუსტი მუშაობის შედეგად, სტახანოველთა რაოდენობა მაღაროებში ჯერ კიდევ მცირეა. უკანასკნელ წლებში მათი რაოდენობა ზოგიერთ მაღაროში, მაგალითად, ლენინის სახელობის მაღაროში, კიდეც შემცირდა.

ამავე დროს კი, მარგანეცის მრეწველობაში ცოტანი როდი არიან მოწინავე მუშები, რომლებიც გადაჭარბებით ასრულებენ დაწესებულ ნორმებს. მაგალითად, ამწმენდი ამხ. ჩაჩანიძე კაგანოვიჩის სახელობის მაღაროში გეგმას 248 პროცენტით ასრულებს, გამომგორებელმა დიმიტროვის სახელობის მაღაროში ამხ. მჭედლიშვილმა 1939 წლის გამომუშავების გეგმა 192 პროცენტით შეასრულა, მნგრეველმა ამხ. ჩიტაძემ გამომუშავების წლიური გეგმა 160 პროცენტით შეასრულა და ა. შ. ცოტანი როდი არიან ნიჭიერი მუშაკები ინჟინერ-ტექნიკურ ძალებში. მაგრამ ტრესტის ადმინისტრაცია და რაიონული კომიტეტი სუსტად მუშაობენ ინჟინერთა კადრებთან და ჯეროვნად არ უწყობენ ხელს მათს ინიციატივასა და შემოქმედებითს აზრს წარმოებაში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ალბათ მოუხდება იფიქროს ჭიათურის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის გამოყოფაზე რაიონული ორგანიზაციიდან, პარტიის საქალაქო კომიტეტის შექმნით, რომელიც უკეთ იმუშავებს მარგანეცის მრეწველობის დარგში. რაც შეეხება ჭიათურის რაიკომს, მისთვის სოფლადაც საკმაო სამუშაოა.

ჭიათურის მოსაზღვრე რაიონების—საჩხერის, ჩხარის, ზესტაფონისა და ორჯონიკიძის რაიონების — პარტიული ორგანიზაციებიც პასუხისმგებელნი არიან მარგანეცის მრეწველობის მუშაობისათვის. ისინი მეტ დახმარებას უნდა უწევდნენ მარგანტრესტს მუშა-ხელის შეგროვებისა და შენარჩუნების საქმეში.

ჯერჯერობით აღნიშნული ორგანიზაციები საკმაოდ არ მუშაობენ ამ დარგში.

### ადგილობრივი მრეწველობა

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობა ფრიად მრავალფეროვან დარგებს მოიცავს. ეს დარგებია: მანქანათმშენებლობისა, ლითონის დამმუშავებელი, სამთამადნო ქიმიური. პოლიგრაფიული, კულტურულ საქონლის წარმოება და ა. შ.

ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატის მრეწველობის ხვედრითი წონა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში უაღრესად დიდია. საკმარისია ითქვას, რომ ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატის საწარმოებმა 1939 წელს 58,5 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს. საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის პროდუქცია ხმარდება არა მარტო ადგილობრივ საჭიროებათა დაკმაყოფილებას, არამედ საკავშირო მომხმარებელთა მომსახურებასაც.

1939 წლის გეგმა ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებმა 101,2 პროცენტით შეასრულეს.

1939 წელს ცუდად მუშაობდნენ სამთამადნო მრეწველობის საწარმოები. ბარიტის დარგში გეგმა შესრულდა 88,6 პროცენტით, გუმბრინის დარგში — 67,4 პროცენტით, დიატომიტის დარგში — 72 პროცენტით და ანდეზიტის დარგში —73,5 პროცენტით.

არამადნეულ წიაღისეულთა დარგში გეგმის შეუსრულებლობა აიხსნება უწინარეს ყოვლისა ამ საწარმოთა ადმინისტრაციის ცუდი მუშაობით და იმით, რომ სახალხო კომისარიატი მათ საკმაო დახმარებას არ უწევს. ნაწილობრივ კი შეუსრულებლობა აიხსნება ტრანსპორტის დარგში არსებული სიძნელეებით.

ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს მრეწველობის ამ დარგს. არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ბარიტსა და გუმბრინზე ბევრად არის დამოკიდებული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ისეთი უმნიშვნელოვანესი დარგების წარმატებითი მუშაობა, როგორიცაა ნავთის, ქიმიური და ელექტროტექნიკური მრეწველობა.

ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატის მანქანათმშენებლობის საწარმოებმა 1939 წლის გეგმა 103 პროცენტით შეასრულეს. კარგად მუშაობდნენ 26 კომისრის სახელობის ქარხანა, კალინინის სახელობის ქარხანა და სხვ.

ფართო მოხმარების ნაწარმთა გამოშვების გეგმა ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატმა 109,5 პროცენტით შეასრულა. ამ ნაწარმთა ხვედრითი წონა ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატის მთელ პროდუქციაში 1938 წელს 17,1 პროცენტს შეადგენდა, ხოლო გასულ წელს—19,3 პროცენტს.

ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატმა კიდევ უფრო ფართოდ უნდა გაშალოს ფართო მოხმარების საგნების წარმოება, უნდა გამოიყენოს ამ მიზნისათვის ნედლეულის ადგილობრივი სახეები და წარმოების ნარჩენები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფართო მოხმარების ნაწარმთა ხარისხის გაუმჯობესებას, — მათს გარეგნულ შემკობასა და სიმკვიდრეს.

ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს დავალებული აქვს ქვანახშირის მეორეხარისხოვან საბადოთა დამუშავება პატარ-პატარა შახტების მოწყობის გზით. ამ საქმეში ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატს ჯერჯერობით შესამჩნევი წარმატებებისათვის არ მიუღწევია. მაშინ როცა საქართველოში ქვანახშირის მრავალრიცხოვანი საბადოები მოიპოვება, ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატი იწევს მხოლოდ ახალციხის ქვანახშირის ექსპლოატაციას, სადაც გეგმა 1939 წელს შესრულებულ იქნა მხოლოდ 67,5 პროცენტით.

ადგილობრივი ქვანახშირის მოპოვების განვითარებისათვის ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატმა უფრო გადამწყვეტი ნაბიჯები უნდა გადადგას.

საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატი ცუდად როდი ასრულებს თავის ამოცანებს.

### სამშენებლო მასალების მრეწველობა

თავის საანგარიშო მოხსენებაში საქართველოს კ. პ. (ბ) XI ყრილობაზე ამხანაგი **ბერია** აღნიშნავდა სამშენებლო მასალების დამამზადებელ საწარმოთა არადამაკმაყოფილებელ მუშაობას. 1939 წელს ეს საწარმოები გამოყოფილ იქნენ ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატიდან და მათს ბაზაზე შეიქმნა სამშენებლო მასალათა მრეწველობის საწარმოების მთავარი სამმართველო საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან.

ამ ორგანიზაციულმა ღონისძიებამ დადებითი შედეგები გამოიღო. საერთო საწარმოო პროგრამა სამშენებლო მასალების მრეწველობამ 1939 წელს 107,6 პროცენტით შეასრულა.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ პროდუქციის ძირითადი სახეების დარგში გეგმა მაინც შეუსრულებელი დარჩა: აგურის დარგში გეგმა შესრულებულ იქნა 88,9 პროცენტით და კრამიტის დარგში 80,7 პროცენტით.

აგურისა და კრამიტის ხარისხი დაბალია. ჩვენი ქარხნები ძირითადად უშვებენ მესამე და ნაწილობრივ მეორე ხარისხის აგურს. ხოლო თბილისის საბჭოს ქარხნები საერთოდ უხარისხო აგურს უშვებენ. სამშენებლო მოედნებზე ხშირად იწუნებენ მიტანილი აგურის 15-20 პროცენტს. ეს მოვლენა მეტად ცუდ გავლენას ახდენს მშენებლობაზე, აძვირებს მას და აუარესებს შესრულებულ სამუშაოთა ხარისხს.

სამშენებლო მასალების მრეწველობის განვითარება ჯერ კიდევ სრულებით ვერ აკმაყოფილებს ჩვენი მშენებლობის მოთხოვნილებას. საკმარისია აღინიშნოს, რომ მშენებლობის მოთხოვნილება აგურზე 1940 წელს 180 მილიონ ცალს შეადგენს, აგურის ყველა ქარხნების პროდუქცია კი რესპუბლიკაში 110 მილიონ ცალს ვერ გადაამეტებს. განსხვავება, როგორც ხედავთ, სერიოზული გამოდის—70 მილიონი ცალი აგური.

კიდევ უფრო დიდ ნაკლებობას განვიცდით სახურავი მასალების, კერძოდ კრამიტის მხრივ.

საჭიროა ყოველნაირად დაჩქარდეს აგურისა და კრამიტის იმ ქარხნების დამთავრება, რომლებიც ამჟამად შენდება, და ამასთან ერთად მიღებულ იქნას სერიოზული ზომები მშენებლობაში სხვა ცალკეული მასალების ფართოდ გამოყენებისათვის. ფართოდ უნდა გაიშალოს უცემენტო ბლოკების წარმოება ჰიდრავლიური კირის გამოყენებით, აგრეთვე ბუნებრივი ქვის, ტუფის და სხვ. მოპოვება და დამუშავება. ამ მხრივ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველო ჯერ კიდევ არ აწარმოებს საკმაო მუშაობას. საჭიროა აგრეთვე მიღწეულ იქნას პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. ამოცანად უნდა დავისახოთ აგურის, კრამიტისა და კირის ხარისხოვნობის გაუმჯობესება.

1940 წელს ექსპლოატაციაში უნდა შევიდეს სამშენებლო მასალათა გამომშვები ათზე მეტი ახალი საწარმო. მთავრდება მშრალი წნეხის აგურის ქარხნის მშენებლობა საბურთალოში, რომლის წლიური სიმძლავრე 14 მილიონი ცალი აგური იქნება. ექსპლოატაციაში გაშვებული იქნება აგრეთვე კრამიტის 9 ახალი პატარა ქარხანა რაიონული მნიშვნელობისა, წელიწადში 3.600 ათასი ცალი კრამიტის წარმადობით.

მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა უფრო ფართოდ გაიშალოს სამშენებლო მასალათა წარმოება რაიონული აღმასკომების ადგილობრივი მრეწველობის ხაზით. ყოველთვის შეიძლება გამოინახოს სახსრები აგურის, კრამიტის, კირის, გაჯის წარმოებისათვის პატარ-პატარა საწარმოების მოსაწყობად. ხოლო ეს რესპუბლიკური მასშტაბით სამშენებლო მასალების პროდუქციის ცოტა მატებას კი არ მოგვცემს.

### სატყეო მრეწველობა

საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის საწარმოებმა 1939 წელს გეგმა 108,3 პროცენტით შეასრულეს. პროდუქციის გამოშვება 1938 წელთან შედარებით 5,2 პროცენტით გაიზარდა. მერქნის დამზადების გეგმა შესრულებულია 102,7 პროცენტით, ხოლო გამოზიდვისა—104,5 პროცენტით.

მაშინ როდესაც სატყეო მრეწველობის სახ. კომისარიატის ფაბრიკებმა და ქარხნებმა საწარმოო დავალებები საერთოდ გადაჭარბებით შეასრულეს, ხე-ტყის დახერხვის დარგში გეგმა შესრულებულია მხოლოდ 78,1 პროცენტით. ეს აიხსნება ჯალაბეთისა და ახმეტის ხე-ტყის სახერხი ქარხნების სისტემატიური ჩამორჩენით.

მიმდინარე წლის დამდეგს ხე-ტყის დამზადება და გამოზიდვა საგრძნობლად შესუსტდა, აქა-იქ კი სრულებითაც შეჩერდა. ამის შედეგად სატყეო მრეწველობის სახ. კომისარიატის საწარმოებმა იანვარი ღრმა გარღვევით დაამთავრეს; გეგმა მხოლოდ 61,8 პროცენტით შეასრულეს.

ცნობილია, რომ საქართველო ხარისხოვან ხე-ტყეს აწვდის თავდაცვითს საწარმოებს. ხე-ტყის მასალების გამოტანის ჩამორჩენა არღვევს ამ პასუხსაგებ მიწოდებებს. საჭიროა უაღრესად სერი-

(გაგრძელება იხ. მე-4 გვ.)

## საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობა

# საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში

## ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის მოხსენება 1940 წლის 16 მარტს

(გაგრძელება)

ოზული დახმარება გაუწიოს სატყეო მრეწველობის სახ. კომისარიატს და უზრუნველყოფილ იქნას მერქნის გამოზიდვაში არსებული გარღვევის უსწრაფესი ლიკვიდაცია.

სატყეო მრეწველობის დარგში კაპიტალურ სამუშაოებზე გაცემული ასიგნობანი 1939 წელს შეადგენდნენ 2.116 ათას მანეთს, აქედან ათვისებულია 2.086 ათასი მანეთი.

სატყეო მრეწველობის სახ. კომისარიატს ევალება არა მარტო ტყეების ექსპლოატაცია და ხეტყის სახერხი და ხის დამმუშავებელი საწარმოების ხელმძღვანელობა, არამედ მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანაც — სატყეო-კულტურულ სამუშაოთა განხორციელება, ტყის ახალი ძვირფასი მასივების გაშენება, აგრეთვე ბუნებრივი ტყეების დაცვა და მოვლა. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სატყეო-კულტურულ ღონისძიებებზე დახარჯულია 17 მილიონ მანეთამდე. 1940 წელს განზრახულია ამ საქმეზე დაბანდებულ იქნას 10 მილიონ მანეთამდე. ამ სამუშაოს მნიშვნელობაზე მიგვითითებდა ამხ. ბერია თავის მოხსენებაში საქართველოს კომუნისტური პარტიის XI ყრილობაზე.

სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი ჯერ კიდევ არასაკმაოდ ხელმძღვანელობს სატყეო-კულტურულ ღონისძიებათა განხორციელებას. არ არის სატყეო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმა, სუსტად ტარდება ღონისძიებანი გაკაფული ტყეების აღდგენისათვის, ტყის მასივების ექსპლოატაცია ჯერ კიდევ ხშირად ისე სწარმოებს, რომ მხედველობაში არ არის მიღებული ტყის დაცვითი ფუნქციები და სხვ.

სატყეო მრეწველობის სახ. კომისარიატს შეუძლია უკეთესად მუშაობდეს ისეთი ძვირფასი ჯიშის ხის გასაშენებლად, როგორიც არის ევკალიპტი. სატყეო მრეწველობის სახ. კომისარიატის სატყეო მეურნეობებში უკვე დარგულია 676.000 ძირი ევკალიპტი, მაგრამ ეს სრულებითაც არ არის საკმარისი. საჭიროა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს სატყეო მრეწველობის სახ. კომისარიატის მუშაობა ამ მიმართულებით.

1939 წელს მწყობრში ჩადგა ენგურის ქაღალდის კომბინატი, რომელიც მთელი რიგი წლების მანძილზე დიდი მავნებლობის ობიექტს წარმოადგენდა. ქაღალდის კომბინატის საპროექტო სიმძლავრე წლიწადში 12,5 ათას ტონა ხარისხოვან ქაღალდს შეადგენს. ფაბრიკამ ქაღალდით უნდა მომარაგოს არა მარტო საქართველო, არამედ სხვა რესპუბლიკებიც.

1939 წლის საწარმოო გეგმა კომბინატმა 63,1 პროცენტით შეასრულა. ეს იმით აიხსნება, რომ საწარმო ათვისების სტადიაში იმყოფება. საწარმოო მოუგვარებლობებს ახლაც აქვს ადგილი კომბინატში. 1940 წელს კომბინატმა 9 ათასი ტონა ქაღალდი უნდა მოგვცეს.

მიუხედავად იმისა, რომ ქაღალდის კომბინატი დამთავრებულია და გაშვებულია ექსპლოატაციაში, მისი სანედლეულო ბაზა ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი. გამოუმუშავებელი არ არის ტყის ექსპლოატაციისა და ნედლეულის ტრანსპორტირების რაც შეიძლება უფრო რაციონალური ხერხები. ეს საკითხი კი კომბინატის შემდგომი მუშაობისათვის გადამწყვეტია. საძიებო სამუშაოები ამ მიმართულებით უკვე დაწყებული იყო, მაგრამ 1940 წელს სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა მათი დაფინანსება შესწყვიტა. საჭირო იქნება ეს საკითხი დაისვას საკავშირო მთავრობის წინაშე. წინააღმდეგ შემთხვევაში კომბინატისათვის მერქნის უსისტემოდ მიწოდებამ შეიძლება გამოიწვიოს ძვირფასი ტყეების მოსპობა და ქაღალდის კომბინატის სანედლეულო ბაზის სწრაფი ამოწურვა.

## კვების მრეწველობა

კვების ინდუსტრია მთლიანად შექმნილია უკანასკნელი 6-7 წლის განმავლობაში და წარმოადგენს საქართველოს მრეწველობის ერთერთ ძირითად დარგს. ორი ხუთწლედის განმავლობაში კვების მრეწველობის პროდუქცია ორნახევარჯერ და კიდევ მეტად გაიზარდა.

1939 წელს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებმა საწარმოო პროგრამა შეასრულეს 107 პროცენტით. გამოშვებულია 235 მილიონი მანეთის საერთო პროდუქცია. მოცულობის მხრივ საწარმოო გეგმა გადაჭარბებით შესრულდა თითქმის ყველა დარგმა, გარდა თამბაქოს მრეწველობისა და მინერალური წყლების ჩამოსხმისა.

1939 წელს საქართველოს კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ჩაის 35 ფაბრიკამ გადაამუშავა და გამოუშვა 10.148 ტონა ბაიხის ჩაი და 2.310 ტონა „აგურის" ჩაი.

ჩაის ფოთლის დამზადების ზრდასთან დაკავშირებით უნდა გაფართოვდეს ჩაის ფაბრიკების საწარმოო სიმძლავრეც.

1940 წლის მაისისათვის საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს მაღლაკისა და ორპირის ჩაის ფაბრიკები. გარდა ამისა, ჩაის ზოგიერთი ფაბრიკა უნდა გაფართოვდეს და აყვანილ იქნას საპროექტო სიმძლავრემდე. 1940 წელს „აგურის" ჩაის პირველი პროდუქცია უნდა მოგვცეს ზუგდიდის ჩაისსაწნეხმა ფაბრიკამ, აგრეთვე მწყობრში უნდა შევიდეს თბილისის ჩაისსაწონი ფაბრიკა, რომელიც გამოუშვებს ჩაის 5.000 ტონა მზა პროდუქციას.

ჩაის მრეწველობის ყველა ეს ობიექტი ძალიან ნელა შენდება. კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატმა და ტრესტმა „საქართველოს ჩაიმ" უაღრესად გადამწყვეტი ზომები უნდა მიიღონ იმისათვის, რომ დააჩქარონ მშენებლობა და უზრუნველჰყონ ჩაის ფაბრიკების ამუშავება ჩაის ფოთლის კრეფის დაწყებისათვის.

ჩაის მრეწველობის მუშაობის ნაკლოვანებათაგან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ტრესტის სუსტი კონტროლი ფაბრიკების საქმიანობაზე. 1939 წელს მთელ რიგ ფაბრიკებში აღმოჩენილ იქნა დიდი ბოროტმოქმედებანი. ოზურგეთის ჩაის ფაბრიკაში გამოვლინებულ იქნა ჩაის ფოთლის დანაკლისი 200 ტონაზე მეტი, რის შედეგადაც ფაბრიკამ დაახლოვებით 700 ათასი მანეთი დაჰკარგა. ამ ფაბრიკის მიმღები პუნქტების მუშაკები, გრძნობდნენ რა თავიანთ უკონტროლობასა და დაუსჯელობას, კოლმეურნეებს უწერდნენ ხოლმე ფიქტიურ ქვითრებს ჩაის ფოთლის ჩაბარების შესახებ. ფაბრიკა შემდეგ ანაღდებდა ამ ქვითრებს. ჩაის ფოთოლი კი არ შემოდიოდა.

ჩაის ფოთლის დიდი დანაკლისი აღმოჩენილ იქნა აგრეთვე მახარაძის ჩაის ფაბრიკაში.

ტრესტმა „საქართველოს ჩაიმ" უნდა გააძლიეროს კონტროლი ჩაის ფაბრიკებზე და შეიმუშაოს ჩაის ფოთლის მიღებისა და აღრიცხვის ისეთი წესი, რომელიც აღმოფხვრიდა ბოროტმოქმედებათა შესაძლებლობას.

საქართველოს ჩაის მრეწველობამ აგრეთვე სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს. განსაკუთრებით საჭიროა უფრო ინტენსიური მუშაობა ვაწარმოოთ ქართული ჩაის არომატიზაციის საქმის გასაუმჯობესებლად.

1939 წელს სამტრესტმა გამოუშვა სულ 1.128 ათასი დეკალიტრი სხვადასხვა ღვინო. სუფრის ღვინოები სამტრესტმა გამოუშვა 651 ათასი დეკალიტრი, აქედან მარკიანი ღვინო—54,7 ათასი დეკალიტრი. კონიაკი 1939 წელს გამოშვებულ იქნა 53 ათასი დეკალიტრი. უნდა აღინიშნოს, რომ აშკარად არასაკმაო ყურადღება ექცევა ჩვენი მევენახეობის ხარისხობრივ ზრდას. მხოლოდ ამით აიხსნება მარკიანი ღვინოების შედარებით დაბალი ხვედრითი წონა სამტრესტის საერთო პროდუქციაში.

ამავე დროს ჩვენ გვაქვს ყოველგვარი შესაძლებლობა უფრო სწრაფად განვავითაროთ ხარისხოვანი მევენახეობა. საქართველოში ვენახების განვითარების გეგმა, რომლის შესახებაც მე ქვემოთ ვილაპარაკებ, და მეღვინეობის ახლანდელი მდგომარეობა სრულ შესაძლებლობას გვაძლევენ ხუთწლედის განმავლობაში გავადიდოთ სუფრის ღვინოების წარმოება სამტრესტის ხაზით 2 მილიონ დეკალიტრამდე, აქედან არანაკლებ 300 ათასი დეკალიტრისა უნდა იყოს დაძველებული მარკიანი ღვინოები.

ეს მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებებს მოითხოვს ჩვენი მეღვინეობის ტექნიკური ბაზის გასაფართოებლად და შესაიარაღებლად.

ცენტრალურ კომიტეტს განზრახვა აქვს ეს საკითხები დააყენოს საკავშირო მთავრობის წინაშე. ეჭვი არ არის, რომ საკავშირო ორგანოები მხარს დაუჭერენ ჩვენს შუამდგომლობას და საჭირო დახმარებას გაგვიწევენ საქართველოს ხარისხობრივი მეღვინეობის შემდგომი განვითარების საქმეში.

ჩვენ საშუალება გვაქვს განსაკუთრებით სწრაფად განვავითაროთ კონიაკის გამოშვება. ჩვენ მოგვეპოვება ნედლეული მასალები მაღალხარისხოვანი კონიაკების გამოსამუშავებლად. ჩვენ განზრახვა გვაქვს კონიაკის წარმოება 1944 წლისათვის ავიყვანოთ 500 ათას დეკალიტრამდე წელიწადში. ამ ამოცანის შესასრულებლად საჭიროა ავაშენოთ კონიაკის ერთი ქარხანა, რომელიც წელიწადში გამოუშვებს სულ მცირე 400 ათას დეკალიტრ კონიაკს.

კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატმა და სამტრესტმა სერიოზულად უნდა მოჰკიდონ ხელი მეღვინეობის გაუმჯობესებას და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ქართული სუფრის ღვინოების ხარისხის ამაღლებას.

სამტრესტის პრაქტიკაში გადაჭრით უნდა აღმოიფხვრას ღვინოების წარმოებისა და რეალიზაციისადმი კომერციული მიდგომის ელემენტები. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი სახელმწიფო დაინტერესებულია არა მარტო მოგებით, არამედ უმთავრესად იმით, რომ მისცეს საბჭოთა მომხმარებელს მაღალხარისხოვანი პროდუქტები.

კაპიტალდაბანდებათა გეგმა საქართველოს კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით 1939 წელს შეადგენდა 29.326 ათას მანეთს. მაგრამ ეს სახსრები სავსებით როდი იყო გამოყენებული. ათვისება მხოლოდ 92,8 პროცენტს შეადგენდა.

კვების მრეწველობის ჯერ კიდევ ჩამორჩენილ უბანს წარმოადგენს მინერალური წყლების ჩამოსხმა. საქმინწყლებმა 1939 წელს დაგვაკლო 5 მილიონზე ლიტრი ბორჯომის წყალი. ჩამორჩენის მიზეზს წარმოადგენს ბოთლების საკმაო რაოდენობით უქონლობა.

ჯეროვნად ვერ მუშაობს თვით წყლისჩამომსხმელი ქარხანაც, რომელიც ტარის ნორმალური მომარაგების დროსაც კი ვერ უზრუნველჰყოფს წყლის ჩამოსხმის კარგ ხარისხს.

ბორჯომის წყაროების ექსპლოატაცია წინათ საქართველოს ჯანსახკომის სისტემაში შედიოდა. ჯანსახკომი ცუდად ხელმძღვანელობდა ამ საქმეს. ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით ბორჯომის წყალი კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს გადაეცა იმ იმედით, რომ სამრეწველო კომისარიატი უკეთ მოაწყობდა მის ექსპლოატაციას. მაგრამ, როგორც ხედავთ, ამ საქმეში ჯერჯერობით არ ჩანს თვალსაჩინო გაუმჯობესება.

უნდა უზრუნველვყოთ ბორჯომის ჩამომსხმელი ქარხანა ბოთლებით. ამისათვის საჭიროა ვადაზე დავამთავროთ შუშის მექანიზებული ღუმელის მშენებლობა ბორჯომის შუშის ქარხანაში.

გარდა ამისა, სერიოზულად უნდა გარდავქმნათ წყლისჩამომსხმელი ქარხნის მუშაობის ორგანიზაცია.

ბორჯომის წყალი ფართოდ არის ცნობილი საბჭოთა კავშირის მშრომელებში. იგი წარმოადგენს არა უბრალო სუფრის წყალს, არამედ სამკურნალო საშუალებას. ჩვენ სათანადო სიმაღლეზე უნდა დავაყენოთ ბორჯომის წყაროების ექსპლოატაცია.

გრძელდება საქართველოს საკონსერვო მრეწველობის განუხრელი აღმავლობა. მისი ნედლეულის ბაზა წლითი-წლობით ფართოვდება. ჩვენი სოფლის მეურნეობა სულ უფრო-და-უფრო მეტ ბოსტნეულს, მეტ ხილს, მეტ ციტრუსებს აძლევს მრეწველობას.

საქართველოს საკონსერვო ქარხნების საწარმოო პროგრამა 1939 წელს შესრულებულ იქნა 114,3 პროცენტით. სულ გამოშვებულია 24 მილიონამდე ქილა სხვადასხვა კონსერვი.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გამოშვებული კონსერვების ხარისხი. მთელი პროდუქციის 31,9 პროცენტს შეადგენდა პირველი ხარისხის კონსერვები, გეგმის მიხედვით კი პირველი ხარისხის კონსერვები 30,8 პროცენტი უნდა ყოფილიყო.

ათვისებულია ციტრუსებისა და სხვა სუბტროპიკული ნაყოფისაგან ახალი სახის კონსერვების წარმოება.

1939 წელს საქართველოს კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატიდან გამოყოფილ იქნა ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატი. გაყოფამ მნიშვნელოვნად გააადვილა მრეწველობისადმი ხელმძღვანელობა როგორც კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით, ისე ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზითაც.

ხორცისა და რძის პროდუქციის გამოშვების 1939 წლის პროგრამა სახალხო კომისარიატის მიერ შესრულებულია 103.4 პროცენტით. გამოშვებულია 28,2 მილიონი მანეთის პროდუქცია. ზრდა 1938 წელთან შედარებით შეადგენს 10,2 პროცენტს.

კვების, ხორცისა და რძის და საკონსერვო მრეწველობის ხელმძღვანელებმა, კვების პროდუქტების წარმოების გადიდებასთან ერთად, უნდა უზრუნველჰყონ ასორტიმენტის გაფართოება, განსაკუთრებით კი მისი ხარისხის გაუმჯობესება.

## მსუბუქი მრეწველობა

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებმა 1938 წელს გეგმა შეასრულეს 102,5 პროცენტით, ხოლო 1939 წელს—104,5 პროცენტით, რამაც უზრუნველჰყო პროდუქციის ზრდა 1938 წელთან შედარებით 20,5 პროცენტით.

მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის 24 საწარმოდან გეგმა არ შეუსრულებია მხოლოდ 2 საწარმოს: ბათუმის ტყავის ქარხანას (დირექტორი ამხ. მანუკიანი) და თბილისის საგამომჭრელო ფაბრიკას (დირექტორი ამხ. უსტინოვა).

როგორც ვიცით, საქართველოს მსუბუქ მრეწველობაში მავნებლობის სერიოზული კერები იყო. მსუბუქი მრეწველობის საწარმოების მიერ გეგმის შესრულება მუდამ ჩამორჩენილი იყო. 1938 და 1939 წლები არსებითად გახდნენ პირველი წლები, როდესაც მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა შეასრულა თავისი საწარმოო პროგრამა. ჩვენ უნდა განვამტკიცოთ ეს წარმატებანი. უნდა გვახსოვდეს, რომ მსუბუქი მრეწველობის საწარმოების მუშაობაზე მთლიანად არის დამოკიდებული მოსახლეობის მომარაგება ფართო მოხმარების საქონლით.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან შეუსუსტებელი ყურადღებით მოეკიდონ მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა მუშაობის მდგომარეობას, კონტროლი და დახმარება გაუწიონ მათ გეგმის არა მარტო რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულების საქმეში.

ჯერჯერობით კი საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი საკმაოდ ვერ ასრულებს დავალებებს პროდუქციის ხარისხის ასორტიმენტისა და ხარისხიანობის მხრივ, განსაკუთრებით სამკერვალო ნაწარმის ხაზით.

## საფეიქრო მრეწველობა

საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში შემავალმა აბრეშუმსაქსოვმა, მაუდის და აბრეშუმსახვევმა ფაბრიკებმა 1938 წლის საწარმოო გეგმა 91 პროცენტით შეასრულეს. გასულ წელს ამ საწარმოებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მუშაობა და მიაღწიეს გეგმის შესრულებას 105,2 პროცენტით.

საქართველოს საფეიქრო მრეწველობის ყველა საწარმომ გადაჭარბებით შეასრულა თავისი საწარმოო გეგმა, გარდა მახარაძის აბრეშუმსახვევი ფაბრიკისა, რომელმაც გეგმის შესრულებას 7 პროცენტი დააკლო.

საფეიქრო მრეწველობის საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესება აიხსნება მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციისათვის წარმოებული წარმატებით მუშაობით, აგრეთვე სახალხო კომისარიატის მხრივ ხელმძღვანელობის გაძლიერებით, საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გაყოფის შემდეგ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, 1939 წლის მუშაობის საერთო დამაკმაყოფილებელი შედეგების მიუხედავად, საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოები ჯერ კიდევ ვერ ასრულებენ მაჩვენებლებს პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის მხრივ.

ასე, მაგალითად, მაშინ როდესაც თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკამ საერთოდ გეგმა 95 პროცენტით შეასრულა, მერინოსის, მაღალხარისხოვანი ქსოვილის გამოშვების გეგმა მას შესრულებული აქვს მხოლოდ 45,3 პროცენტით.

საფეიქრო მრეწველობის საწარმოებს დიდი რეზერვები აქვთ პროდუქციის გამოშვების მნიშვნელოვნად გადიდებისათვის, მაგრამ მათი მუშაობა ძლიერ ფერხდება დაზგების ხანგრძლივი გაცდენის გამო, რასაც ამ დაზგების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იწვევს.

სახალხო კომისარიატი და საწარმოთა ხელმძღვანელები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ დაზგებისა და მოწყობილობის საგეგმო-გამაფრთხილებელი რემონტის თავის დროზე ჩატარებას. სწორედ ეს იწვევს მექანიზმების დიდ გაცდენას.

საქართველოს კომპარტიის XI ყრილობაზე ამხ. ბერია ლაპარაკობდა თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატის მშენებლობაზე არსებული ნაკლოვანებებისა და იმის შესახებ, რომ ამ მშენებლობას დიდი ზიანი მიაყენა მავნებლობამ.

1938 წლის მეორე ნახევრიდან დაწყებული, კომბინატი ნაწილობრივ ექსპლოატაციაში გადაეცა. თავდაპირველად დაახლოვებით 5.000 სართავი თითისტარი მუშაობდა, 1939 წელს მომქმედი თითისტარების რაოდენობა აყვანილია 19.000-მდე, მიმდინარე წლის დამლევამდე კი მომქმედი თითისტარების რაოდენობა აყვანილ უნდა იქნას 40.000-მდე, ე. ი. კომბინატის სართავი საამქროების საპროექტო სიმძლავრემდე, წელიწადში 700 ტონა ბამბის ნართის გამოშვებით.

წარმოების ათვისება სატრიკოტაჟო კომბინატში სუსტად მიმდინარეობს. გასულ წელს მზა ნართის გამოშვების გეგმა შესრულებულია 66,9 პროცენტით, გეგმით გათვალისწინებული 359 ტონის ნაცვლად გამოშვებულია 240 ტონა ნართი.

კომბინატის მუშაობაში ერთგვარი გაუმჯობესება დაისახა წლის დამლევს. მეოთხე კვარტალის გეგმა შესრულებულია 102,6 პროცენტით. გეგმის შეუსრულებლობა ძირითადად აიხსნება დიდი გაცდენებით და იმით, რომ წარმოება უზრუნველყოფილი არ არის კვალიფიციური მუშებით.

კომბინატში ძალიან ბევრია ნაკლოვანებანი მუშათა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები არადამაკმაყოფილებელია. ძირითადი პროფესიების კადრების მომზადება ნელი ტემპით მიმდინარეობს.

კომბინატის ხელმძღვანელობამ უნდა მიაღწიოს სამშენებლო-სამონტაჟო დეფექტების ლიკვიდაციას, გადაჭრით უნდა გააუმჯობესოს მუშათა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები და უზრუნველჰყოს 1940 წლის გეგმის მაჩვენებლების შესრულება.

## სარეწაო კოოპერაციის მუშაობა

სარეწაო კოოპერაციას დიდი ხვედრითი წონა აქვს საქართველოს მრეწველობის წარმოების საერთო მოცულობაში. ამასთან სარეწაო კოოპერაციის პროდუქციის ძირითად მასას შეადგენს ფართო მოხმარების ნაწარმი.

საქართველოს სარეწაო კოოპერაციამ 1938 წლის გეგმა 107,4 პროცენტით შეასრულა. 1939 წელს გეგმა შესრულდა 131,5 პროცენტით. სულ წლის განმავლობაში გამოშვებულ იქნა 353,3 მილიონი მანეთის პროდუქცია.

სარეწაო კოოპერაციის არტელები აერთიანებენ 23.400 კაცს. ამათში მნიშვნელოვან რაოდენობას შეადგენენ ყოფილი შინამრეწველნი, რომლებიც ჩვენ კოოპერაციის მეშვეობით ჩავაბით სოციალისტურ მეურნეობაში.

სარეწაო კოოპერაციის არტელების მუშაობას მრავალი ნაკლი ახასიათებს. საჭიროა განსაკუთრებით აღინიშნოს სუსტი ბრძოლა გაფლანგველებთან და მტაცებლობასთან არტელებში. უკანასკნელ წლებში გაფლანგვებისა და მტაცებლობის თანხა, შემცირების ნაცვლად, ბევრად გადიდდა. სარეწაო კოოპერაციის ხელმძღვანელობამ ვერ შესძლო დაერაზმა საზოგადოებრიობა, არტელების წევრები სოციალისტური საკუთრების მტაცებელთა წინააღმდეგ. სასამართლო ორგანოები და პროკურატურაც სუსტ დახმარებას უწევენ საწარმოო არტელებს ამ საქმეში.

პარტიულმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ სარეწაო კოოპერაციის მუშაობას. გახრწნილი ელემენტებისაგან არტელების გაწმენდასთან ერთად საჭიროა განვამტკიცოთ მათი ხელმძღვანელობა შემოწმებული, პატიოსანი ადამიანებით. ამასთან ერთად უნდა გავაძლიეროთ არტელების გამგეობის საქმიანობის ყოველდღიური კონტროლი.

## სახალხო მეურნეობის ენერგეტიკული ბაზა

მესამე სტალინური ხუთწლედის ორი განვლილი წლის მანძილზე საქართველოს სსრ ენერგეტიკულმა მეურნეობამ შემდგომ განვითარებას მიაღწია. 1938 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა ზაჰესის მე-6 აგრეგატი, რომლის სიმძლავრე 12.000 კილოვატს უდრის, და ტყვარჩელის თბოელექტროსადგურის პირველი აგრეგატი 24.000 კილოვატის სიმძლავრით. 1939 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა თბილისის თბოელექტროცენტრალის პირველი აგრეგატი 4.000 კილოვატის სიმძლავრით.

საქართველოს სსრ ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრემ 1940 წლის 1 იანვრისათვის 178.000 კილოვატს მიაღწია, ე. ი. ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში 43,5 პროცენტით გაიზარდა.

1938 წელს ელექტროენერგიის გამომუშავება შეადგენდა 496 მილიონ კილოვატსაათს, 1939 წელს — დაახლოვებით 700 მილიონ კილოვატსაათს, ამასთან საქენერგოს სისტემის ელექტროსადგურებმა გამოიმუშავეს 588,1 მილიონი კილოვატსაათი ენერგია.

მუშაობაში საუკეთესო მაჩვენებლებს იძლევა რიონჰესი, რომელმაც 1939 წელს სსრ კავშირის ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი დროშა მოიპოვა.

საქართველოს ელექტრომეურნეობის გაუმჯობესებისა და მისი მნიშვნელოვანი გაფართოების მიუხედავად, ენერგეტიკული ბაზა მაინც მხარდამხარ ვერ მიჰყვება მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარებას და ენერგიის მოხმარების ზრდას მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ელექტრომომარაგების მხრივ მდგომარეობა კვლავ დაძაბულია. ამიტომ მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ ელექტროსადგურების სიმძლავრის სრულად გამოყენებისა და ელექტროგადამცემ ქსელში ენერგიის დანაკარგების მინიმუმამდე დაყვანის საკითხებს.

ცენტრალური კომიტეტი სისტემატურად მუშაობდა ელექტროსადგურების საქმიანობის საკითხებზე. მიღებული იყო ღონისძიებანი ელექტროსადგურებისა და საქსელო მეურნეობის ექსპლოატაციის გასაუმჯობესებლად, იქ ავარიების აღმოსაფხვრელად.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ისეთი პასუხისმგებელი მომხმარებლების უზრუნველყოფას ელექტროენერგიით, როგორიცაა ტყიბულის ქვანახშირის მაღაროები, ჭიათურის მარგანეცი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა და ქალაქი თბილისი თავისი მსხვილი სამრეწველო საწარმოებით.

ჩვენ უნდა გავატაროთ კიდევ უფრო მკაცრი ღონისძიებანი საწარმოებში ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვისათვის, განსაკუთრებით უნდა მივაღწიოთ ელექტროგადამცემი ხაზების წესიერ ფუნქციონირებას. საჭიროა დავაჩქაროთ გადამცემი ხაზების მშენებლობა ბათუმსა და სამტრედიას შორის და უზრუნველვყოთ აჭჰესის ჩართვა საერთო ჯგუფში.

უკანასკნელ წლებში დიდი გაუმჯობესება გვაქვს ხრამჰესის მშენებლობაში. 1939 წელს მშენებლობის გეგმა შესრულებულია 108 პროცენტით, ათვისებულია 16.460 ათასი მანეთი. გარდა ამისა, საპროექტო-საძიებო სამუშაოებზე და სამშენებლო მოწყობილობის შეძენაზე ათვისებულია 3.030 ათასი მანეთი. მშენებლობის უფროსმა ამხ. ჭანკოტაძემ და მთავარმა ინჟინერმა ამხ. გრინდიმ, აგრეთვე პარტიულმა ორგანიზაციამ მუშაობის კარგი ნიმუშები გვიჩვენეს. ეს გვაძლევს რწმენას, რომ ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარიატისა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სათანადო დახმარებით ხრამჰესის ხელმძღვანელობა ისე წაიყვანს საქმეს, რომ 1942 წელს, მესამე სტალინური ხუთწლედის დამლევისათვის, ხრამჰესი ჩადგეს მომქმედი ჰიდროელექტროსადგურების მწყობრში.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად სწარმოებს სოხუმჰესის მშენებლობა. ამ სადგურის საპროექტო სიმძლავრე დაახლოებით 20.000 კილოვატს უდრის. მშენებლობის საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 22.787 ათასი მანეთიდან უკვე ათვისებულია 15.839 ათასი მანეთი, ანუ 70 პროცენტი. მაგრამ საეჭვოა სადგურის ტექნიკური მზადყოფნა 50 პროცენტს აღემატებოდეს.

სოხუმჰესის მშენებლობა წელს გადაეცა ხრამჰესმშენს, რომელიც უკვე შეუდგა ამ მუშაობას. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ხრამჰესმშენის ხელმძღვანელობა გამოასწორებს სოხუმჰესზე არსებულ ნაკლოვანებებს და უახლოეს თვეებში გამოიყვანს მას გარღვევიდან.

მესამე ხუთწლედის განვლილ პერიოდს ახასიათებს ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო და კომუნალური ელექტროფიკაციის შემდგომი განვითარება. 1937 წელს საქართველოს რაიონებში ირიცხებოდა 52 წვრილი ჰიდროსადგური. 1938 და 1939 წლებში დამთავრდა კიდევ 9 წვრილი სადგურის მშენებლობა და ეს სადგურები გადაცემულ იქნენ საექსპლოატაციოდ. გარდა ამისა, მშენებლობის პროცესში იმყოფება 7 ჰიდროსადგური.

ამ მიმართულებით ჩვენ უფრო გადამწყვეტი ნაბიჯები უნდა გადავდგათ. საქართველოს ყველა რაიონში გვაქვს იმის პირობები, რომ ვაწარმოოთ მშენებლობა წვრილი სადგურებისა, რომლებიც დიდ როლს თამაშობენ ადგილობრივი მრეწველობის განვითარებისა და ქალაქის მოსახლეობისა და კოლმეურნეთა საყოფაცხოვრებო საჭიროებების დაკმაყოფილების საქმეში.

## რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობა

1938-39 წლებში ამიერ-კავკასიის რკინიგზა ჩადგა საბჭოთა კავშირის მოწინავე რკინიგზების რიგებში და მიიღო უფლება ღირსეულად ატაროს დიდი **სტალინის** მოწაფისა და თანამებრძოლის — ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას** სახელი. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

1938-39 წლებში ვაგონების დატვირთვის გეგმა გადამეტებით შესრულდა. 1939 წელს გზის ტვირთბრუნვა შეადგენდა 6.841 მილიონ ტონა-კილომეტრს, ე. ი. 4,8 პროცენტით მეტს, ვიდრე 1937 წელს.

**ბერიას** სახელობის გზის 3 განყოფილებიდან, რომლებიც საქართველოში მდებარეობენ, ჩამორჩენილია სამტრედიის განყოფილება. დატვირთვის გეგმა 1939 წელს მან მხოლოდ 98,5 პროცენტით შეასრულა. სამტრედიის განყოფილების მუშაობის ჩამორჩენაში ცოტა დანაშაული როდი მიუძღვის მარგანტრესტს, რომელიც ხშირად ფუშავს მარგანეცის დატვირთვას, მაგრამ თვით განყოფილების ხელმძღვანელებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა შრომის ცუდი ორგანიზაციისა და ვაგონების არასაკმაოდ გამოყენებისათვის.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, როგორც გზის მუშაობის დადებითი მაჩვენებლები, რომ მატარებელთა სისწრაფე საათში 2 კილომეტრით გადიდდა, ვაგონების გაცდენა შემცირდა 15 საათამდე, ნაცვლად 17,5 საათისა 1937 წელს. მნიშვნელოვნად შემცირდა ავარიებისა და მარცხის რიცხვი.

**ბერიას** სახელობის გზის რკინიგზელთა წინაშე დასახულია უმნიშვნელოვანესი ამოცანები საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სახალხო მეურნეობის საჭიროებათა შეუფერხებელი მომსახურების საქმეში. მათ უნდა მიაღწიონ გზის საექსპლოატაციო მაჩვენებლების გაუმჯობესებას, იმას, რომ სავსებით იქნას ლიკვიდირებული მარცხი, ავარიები და წუნი, რასაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი მათს მუშაობაში.

საქართველოში დიდი სარკინიგზო მშენებლობა სწარმოებს. 1939 წელს დაწყებულია რკინიგზის შტოს გაყვანა გორიდან სტალინირში. სამი წელია სწარმოებს ზაჰესის ირგვლივ შემოსავლელი გზის მშენებლობა. აგრეთვე გაფართოებული მოცულობით სწარმოებს მუშაობა შავი ზღვის რკინიგზის მშენებლობისათვის. ამ მშენებლობებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა.

უნდა ითქვას, რომ სარკინიგზო მშენებლობა 1938-39 წლებში სრულიად უმნიშვნელო ტემპებით სწარმოებდა. ტრესტი „ზაკსტროიპუტი", რომელიც ამ მშენებლობებს ხელმძღვანელობდა, ფუშავდა მუშაობას. მშენებლობანი უზრუნველყოფილნი არ იყვნენ არც ხელმძღვანელობით, არც სათანადო მომარაგებით. ამის შედეგად შავი ზღვის რკინიგზისათვის ასიგნებული 20 მილიონი მანეთიდან ძლივსძლივობით ათვისებულ იქნა 1939 წელს დაახლოებით 10 მილიონი მანეთი. სახსრების დიდ აუთვისებლობას ჰქონდა აგრეთვე ადგილი გორი-სტალინირის შტოს, ზაჰესის შემოსავლელი გზის მშენებლობასა და სხვა მშენებლობებზე.

1939 წლის შუახანებში ტრესტი „ზაკსტროიპუტი" ლიკვიდირებულ იქნა. შავი ზღვის რკინიგზა და გორი-სტალინირის ხაზი გამოყოფილ იქნა დამოუკიდებელ სამშენებლო ობიექტებად, ხოლო დანარჩენი მშენებლობები გადაეცა თვით გზას, რომლის სამმართველოსთანაც შექმნილია სპეციალური სამშენებლო განყოფილება.

შავი ზღვის რკინიგზისა და გორი-სტალინირის ხაზის მშენებლობაზე დამოუკიდებელი სამმართველოების შექმნამ მალე გაამართლა თავისი დანიშნულება. 1939 წლის განმავლობაში ამ მშენებლობებზე სახსრების ათვისების დიდი ნაწილი მოდის წლის უკანასკნელ თვეებზე, ე. ი. იმ პერიოდზე, როდესაც ტრესტი „ზაკსტროიპუტი" უკვე ლიკვიდირებული იყო და არ შეეძლო ხელი შეეშალა მშენებლობებზე მუშაობისათვის.

შავი ზღვის რკინიგზა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მშენებლობას, რომელსაც უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. ეს გზა 650 კილომეტრით ამცირებს მანძილს თბილისიდან მოსკოვამდე და იძლევა მეორე სარკინიგზო გასასვლელს ამიერ-კავკასიიდან საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ოლქებში.

დღეისათვის გზის უბანი ცხაკაიადან სოხუმამდე 133 კილომეტრი სიგრძისა გადაცემულია დროებით ექსპლოატაციაში. ამ უბანზე ბევრი სამუშაო მოუთავებელია, რაც შესრულებულ უნდა იქნას 1940 წელს.

გზის დარჩენილი ნაწილის მშენებლობა ადლერიდან სოხუმამდე სწარმოებს ორივე მხრიდან. გასავლელი დარჩა უაღრესად მძიმე მეწყერიანი უბნები.

1940 წლისათვის შავი ზღვის რკინიგზის მშენებლობაზე გაღებულია 50 მილიონი მანეთი. ასეთი თანხა მშენებლობას არასოდეს არ მიუღია. მშენებლობის მმართველმა ამხ. ცატუროვმა და მშენებელთა მთელმა კოლექტივმა ყოველი ღონე უნდა იხმაროს ამ სახსრების ასათვისებლად.

გორი-სტალინირის შტოს მშენებლობას დიდ დახმარებას უწევს სამხრეთ-ოსეთის საოლქო პარტიული ორგანიზაცია. სამხრეთ-ოსეთის კოლმეურნეებმა, ფერგანელ კოლმეურნეთა მაგალითის მიხედვით, მიწის დიდი სამუშაოები შეასრულეს. ეს დახმარება მშენებლობას შემდეგშიაც უნდა აღმოეჩინოს.

ცენტრალურმა კომიტეტმა მომავალშიაც სისტემატურად უნდა იმუშაოს სარკინიგზო მშენებლობის საკითხებზე. მიმდინარე წელს ჩვენ აუცილებლად უნდა უზრუნველვყოთ მთელი გაღებული სახსრების ათვისება. დავამთავროთ გორი-სტალინირის რკინიგზის შტოს და ზაჰესის შემოსავლელი გზის მშენებლობა, აგრეთვე სერიოზულად წავწიოთ წინ შავი ზღვის რკინიგზის მშენებლობა.

## საგზაო მშენებლობა

საავტომობილო ტრანსპორტის ზრდასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება გზატკეცილებს. 1938-1939 წ. მარტო შინსახკომის გზატკეცილთა სამმართველოს ხაზით ახალი გზების მშენებლობასა და ძველი გზების რეკონსტრუქციაზე დაიხარჯა 44 მილიონ მანეთზე მეტი.

გარდა ამისა, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საგზაო სამმართველოს ხაზით 1939 წელს მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის ხარჯზე შესრულებულ იქნა დაახლოებით 29 მილიონი მანეთის სამუშაოები. ორი წლის განმავლობაში აგებულია 1.265 კილომეტრი ახალი გზები.

საგზაო მშენებლობის დარგში ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტებია ნატახტარ-გორის გზა, საქართველოს სამხედრო გზის რეკონსტრუქცია და შავი ზღვის გზატკეცილზე მდინარე ენგურზე ხიდის მშენებლობა.

მშენებლობა ნატახტარ-გორის გზისა, რომლის სიგრძე 60 კილომეტრამდეა, დაიწყო 1938 წელს. გზის ღირებულება 31.400 ათას მანეთს შეადგენს. 1938-39 წ. ამ თანხიდან ათვისებულია 6.120 ათასი მანეთი, რაც დაიხარჯა უმთავრესად მდ. კსანზე, საფონავსა და ნარეკვავაზე ხიდების მშენებლობაზე.

მიმდინარე წელს განზრახულია ყამირნიადაგის დამთავრება და გზის დაგუდრონება 12 კილომეტრზე, აგრეთვე მდ. ლეხურაზე ხიდის მშენებლობის დამთავრება. მთლიანად ეს გზა 1942 წელს უნდა დამთავრდეს. 1940 წელს გზის მშენებლობისათვის ასიგნებულია 4 მილიონი მანეთი.

გზატკეცილთა სამმართველომ მტკიცედ უნდა მოჰკიდოს ხელი ამ გზის მშენებლობას და აითვისოს მთელი მიცემული სახსრები.

კასპის და გორის რაიკომებმა მეტი დახმარება უნდა გაუწიონ მშენებლობას მუშა-ხელითა და ტრანსპორტით.

დიდი მნიშვნელობა აქვს მდინარე ენგურზე ხიდის აგებას. საკავშირო მთავრობამ გასულ წელს ამ საქმისათვის 2 მილიონი მანეთი გაიღო. მშენებლობის ღირებულება დაახლოებით 12 მილიონ მანეთს შეადგენს. ეს ყველაზე დიდი ხიდი იქნება საქართველოში. გალის და ზუგდიდის პარტრაიკომები მუდამ უნდა ამოწმებდნენ და ეხმარებოდნენ ამ მშენებლობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში ჯერ კიდევ საკმაოდ არ იყენებენ საბჭოთა კავშირის მთელი რიგი ოლქებისა და მხარეების გამოცდილებას საგზაო მშენებლობაში მოსახლეობის მონაწილეობის გაძლიერების საქმეში. რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ხელი უნდა მოჰკიდონ ამ საქმეს და სათავეში ჩაუდგნენ მოსახლეობის მოძრაობას კარგი გზებისათვის.

გასულ წელს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილების თანახმად, ავტოტრანსპორტის მუშაობის ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად შეიქმნა სპეციალური სახალხო კომისარიატი, რომელიც, აქვე უნდა ითქვას, ჯერ კიდევ სუსტად მუშაობს. სახ. კომისარიატის შიდასაქალაქო ავტოტრანსპორტის ხაზით მგზავრთა გადაყვანის გეგმა 1939 წელს შესრულებულ იქნა 70 პროცენტით, გზატკეცილების ხაზით კი — 59 პროცენტით. კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა ტვირთების გადაზიდვის საქმეში.

სახალხო კომისარიატის გამგებლობაში არსებული ავტოსარემონტო ქარხანა დატვირთული არ არის, კერძოდ, ქარხანაში საკმაო რაოდენობით არ შემოდის მანქანები კაპიტალური რემონტისათვის. ამავე დროს საავტომობილო პარკის 27 პროცენტი კაპიტალურ რემონტს საჭიროებს.

საავტომობილო მრეწველობის სახალხო კომისარიატი თვალყურს უნდა ადევნებდეს რესპუბლიკის მთელი ავტოტრანსპორტის

(გაგრძელება იხ. მე-4 გვ.)

## საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობა

# საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში

### ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის მოხსენება 1940 წლის 16 მარტს

(გაგრძელება)

მდგომარეობას, ატარებდეს პროფილაქტიკურ ზომებს, ცდილობდეს მანქანების დროულად შეკეთებას და მათი ტექნიკური მდგომარეობის საერთო გაუმჯობესებას. ავტოტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესება გზებზე, კადრების მომზადება — აი აგრეთვე ის საკითხები, რომლებსაც პრაქტიკულად უნდა სწყვეტდეს საავტომობილო ტრანსპორტის სახ. კომისარიატი. მან ამ მიმართულებით უნდა გარდაჰქმნას თავისი მუშაობა.

○

ვაჯამებთ რა საანგარიშო პერიოდში საქართველოს სსრ მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობის შედეგებს, შეიძლება ითქვას, რომ სახალხო მეურნეობის ეს დარგები ნორმალურად მუშაობდნენ და ვითარდებოდნენ, წარმატებით ეწეოდნენ მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციას. საწარმოო პროგრამა საწარმოთა უდიდესმა უმრავლესობამ შეასრულა.

მაგრამ არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ მრეწველობასა და ტრანსპორტში ყველაფერი რიგზეა. ჩვენ გვაქვს ძალიან ბევრი მატერიალური და შრომითი რეზერვები, რომლებიც ელიან თავის გამოყენებას.

საწარმოებში საკმაოდ არ არის გაშლილი სტახანოვური მოძრაობა. თუმცა სტახანოველების რაოდენობა დღითიდღე იზრდება, მაგრამ ამ მოძრაობას ჯერ მუშების ნახევარიც კი არ მოუცავს. საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობაში სულ 29.000 კაცი მუშაობს, მათგან 1940 წ. 1 იანვრისათვის ითვლებოდა 12.800 სტახანოველი — დაახლოებით 44 პროცენტი. რა თქმა უნდა, ეს ციფრი საკმაო არ არის.

საწარმოების, პირველადი პარტორგანიზაციებისა და პროფკავშირების ხელმძღვანელნი სათანადო ყურადღებას რომ აქცევდნენ სტახანოვურ მოძრაობას, გაცილებით მეტი სტახანოველები გვეყოლებოდა. ამაში გვარწმუნებს იმ ორგანიზაციების გამოცდილება, სადაც სტახანოველებთან კარგად მუშაობენ.

საქართველოს საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის აბრეშუმის მრეწველობაში დაიწყო მრავალდაზგოსანთა მოძრაობა. ამჟამად აბრეშუმის საქსოვ და აბრეშუმის ძაფსალებ ფაბრიკებში ჩვენ გვყავს 550-ზე მეტი კაცი, რომლებიც ემსახურებიან 2-დან 4-მდე და მეტ დაზგას თვითეული.

როგორც მაგალითი, შეიძლება დავასახელოთ თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის მრავალდაზგოსნები ამხ. ნინო მარკოზაშვილი, ევგენია ზაქარეიშვილი, ნინო გულაშვილი. თვითეული ამ მუშა-ქალთაგანი ექვს-ექვს დაზგას უწევს მომსახურებას და გადაჭარბებით ასრულებს მათთვის დაწესებულ ნორმებს. მაუდის ფაბრიკის სტახანოველი ფეიქარი-ქალი ამხ. აბაკელია ოთხ დაზგას უწევს მომსახურებას და ახალ ნორმებს 110 პროცენტით ასრულებს.

მაგრამ, საჭიროა აღინიშნოს, რომ მრავალდაზგოსანთა მოძრაობა მრეწველობის სხვა დარგებში სუსტად ვითარდება.

საერთო ნაკლოვანებანი, რომლებიც ჩვენი საწარმოების თითქმის უმრავლესობას ახასიათებს, შემდეგია:

მუშა-ხელის დიდი დენადობა, განსაკუთრებით მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის საწარმოებში, აგრეთვე მშენებლობაში, როგორც იმის შედეგი, რომ ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება და ამ დარგში ცუდად მუშაობენ სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები;

საწარმოების ხელმძღვანელთა, აგრეთვე პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციათა არასაკმაო ბრძოლა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის;

შრომის დაბალი დისციპლინა ზოგიერთ საწარმოში;

საწარმოთა და მშენებლობათა შინაგანი რესურსების არასაკმაოდ გამოყენება;

ხელგაშლილობა ნედლეულისა და ელექტროენერგიის ხარჯვაში;

სტახანოვური მოძრაობის, მრავალდაზგოსანთა მოძრაობის და შრომის სხვა სოციალისტური ფორმების სუსტად გაშლა.

პარტორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ ბრძოლას ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, რომელნიც აფერხებენ ჩვენი მრეწველობის მუშაობას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კაპიტალურ სამუშაოთა წარმოებას. 1939 წელს მრეწველობაში კაპიტალურ სამუშაოთა გეგმის შესრულებას 10 პროცენტზე მეტი დააკლდა. საჭიროა გარდაიქმნას ისეთი სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობა, როგორიცაა საქქარხმშენი, კვებმშენი და სხვები. უნდა ვასწავლოთ ჩვენს მშენებლებს მომჭირნეობით მოეკიდონ დეფიციტურ მასალებს — ცემენტს, რკინას, გაბედულად გამოიყენონ შემცვლელი მასალები ადგილობრივი მასალებიდან, აგრეთვე საჭიროა დავეხმაროთ მათ სამშენებლო სამუშაოთა შემდგომი მექანიზაციის საქმეში.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივის გაშლას. პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა და სამეურნეო მუშაკებმა უაღრესად ფართოდ უნდა შეუწყონ ხელი გამომგონებლობას, რაციონალიზატორულ წინადადებებს.

საჭიროა გაუმჯობესებულ იქნას მუშათა ტექნიკური სწავლების დაყენება. ბევრ ადგილას ეს საქმე უყურადღებოდ არის მიტოვებული. უნდა შევიგნოთ, რომ ტექნიკური სწავლება წარმოადგენს მუშათა კლასის ტექნიკური და საერთო-კულტურული დონის ამაღლების უმნიშვნელოვანეს საშუალებას. ხოლო ეს, როგორც ცნობილია, მესამე ხუთწლედის ერთერთ ძირითად ამოცანას შეადგენს.

პარტიის ახალი წესდება, რომელიც საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობამ დაამტკიცა, სამრეწველო საწარმოთა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს ადმინისტრაციის საქმიანობაზე კონტროლის უფლებას ანიჭებს. ეს არის უმნიშვნელოვანესი ორგანიზაციული ღონისძიება, რომელიც მიმართულია საწარმოს მდგომარეობისათვის პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობის გაძლიერებისაკენ.

ზოგიერთმა საწარმოო პარტიულმა ორგანიზაციამ საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა იმ ხაზით, რომ განეხორციელებინა ადმინისტრაციის საქმიანობაზე კონტროლის უფლება. ცალკეულმა მსხვილმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, როგორიც არის, მაგალითად, **სტალინის** სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის პარტორგანიზაცია, სადაც პარტკომის მდივნად მუშაობს ამხ. კუჭავა, დიდი დადებითი გამოცდილება დააგროვეს ამ დარგში. მაგრამ ჯერ კიდევ ყველა საწარმოო პარტიულმა ორგანიზაციამ ნათლად ვერ შეიგნო საკ. კ. პ. (ბ) წესდების მე-61 §-დან გამომდინარე ამოცანები.

ზოგიერთი პარტიული ბიურო და პარტიული ორგანიზაციის მდივანი, ნაცვლად იმისა, რომ გამოავლინოს წარმოების ვიწრო ადგილები და მოაწყოს ქმედი ბრძოლა მათი ლიკვიდაციისათვის, ადმინისტრაციის მუშაობის დაუსრულებელ კრიტიკას ეწევა. ცხადია, „მამხილებლის" როლში გამოსვლა გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე ის, რომ თვითონ უშუალოდ მუშაობდე წარმოების საკითხებზე. მაგრამ ეს როდი აქვს მხედველობაში საკ. კ. პ. (ბ) წესდებას.

ჩვენმა საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აგრეთვე საწარმოო პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა უნდა შეიგნონ, რომ ადმინისტრაციის საქმიანობაზე კონტროლის უფლების განხორციელება მრეწველობის მუშაობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანეს საშუალებას წარმოადგენს. უნდა გავაძლიეროთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა წარმოების მდგომარეობისათვის და ავამაღლოთ კომუნისტების ავანგარდული როლი მუშაობის ყველა უბანზე.

მთელი პარტიულ - პოლიტიკური მუშაობა საწარმოებში, ტრანსპორტზე და მშენებლობაში შეთავსებული უნდა იყოს დაუღალავ ბრძოლასთან საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, ტექნიკის ათვისებისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის და სოცშეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის შემდგომი გაშლისათვის.

გადავდივარ სოფლის მეურნეობის მუშაობის შედეგებზე.

(მოხსენების გაგრძელება იხ. „კომუნისტის" შემდეგ ნომერში)

## 17 მარტის დილის სხდომის დღიური

ყრილობის დილის სხდომაზე გაგრძელდა კამათი საქართველოს კ. პ. (ბ) ცეკას და სარევიზიო კომისიის მოხსენებების ირგვლივ.

კამათში გამოვიდნენ ამხ. **ი. გაბუნია**—საქართველოს კ. პ. (ბ) ფოთის ქალაქკომის მდივანი, **შ. ნუცუბიძე** — საქართველოს კ. პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომის მდივანი, **მ. ჯაში**—საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი, **ა. მგელაძე**—საქნავთის ტრესტის მმართველი, **ი. ფუტკარაძე**—აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე, **ი. ტიულენევი** — ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, **შ. ჭანუყვაძე**—საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანი, **ლ. ჩხიკვიშვილი**—საქ. კ. პ. (ბ) ჩოხატაურის რაიკომის მდივანი, **გ. ადამია**—საქართველოს კ. პ. (ბ) ზემო-სვანეთის რაიკომის მდივანი, **ვ. ვართაზაროვი** — საქართველოს კ. პ. (ბ) ყარაიას რაიკომის მდივანი.

ყრილობა ხანგრძლივი ტაშის გრიალით ღებულობს წინადადებას მისალმება გაუგზავნონ მძლავრი საბჭოთა მთავრობის მეთაურს **ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს.**

ყრილობის დელეგატები მხურვალედ მიესალმებიან **ლენინის** ერთგულ მოწაფეს, დიდი **სტალინის** უახლოეს თანამოსაგრეს—ამხანაგ **მოლოტოვს.**

მქუხარე ოვაციებით და შეძახილებით: „გაუმარჯოს ქართველი ხალხის სახელოვან შვილს ამხანაგ ბერიას!", ყრილობა ღებულობს მისალმებას ამხანაგ **სტალინის** ერთგული მოწაფის, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის **ლავრენტი პავლეს-ძე ბერიასადმი.**

მარშის ხმაზე დარბაზში შემოდის თბილისის პიონერებისა და მოსწავლეების მრავალრიცხოვანი დელეგაცია. მათ გულთბილად მიესალმებიან ყრილობის დელეგატები.

ტრიბუნაზე დგას სწავლის წარჩინებული პიონერი გოგონა ლამარა ჩოჩია, რომელიც თბილისის პიონერებისა და მოსწავლეებისაგან მხურვალე სალამს გადასცემს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIII ყრილობას.

ყრილობის ტრიბუნიდან მოისმის მხურვალე მადლობისა და მგზნებარე სიყვარულის სიტყვები, მიმართული საბჭოთა ხალხის ბედნიერი და საამური ცხოვრების შემოქმედის, საყვარელი მამისა და მასწავლებლის დიდი **სტალინისადმი.**

— დიდ **სტალინს** ჩვენი პიონერული მადლობა კარგი სკოლისათვის, კარგი მასწავლებლებისათვის, მხიარული და ბედნიერი ბავშვობისათვის!

— მადლობა ჩვენს საყვარელ **ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას!**

პიონერები და მოსწავლეები ყრილობას მიუძღვნიან მათ მიერ გაკეთებულ მაკეტს სახლისას, სადაც გორში დაიბადა და თავისი ბავშვობა გაატარა დიდმა **სტალინმა.**

ყრილობის დელეგატთა მქუხარე ტაშის გრიალში პიონერები და მოსწავლეები სტოვებენ სხდომის დარბაზს.

## 17 მარტის საღამოს სხდომის დღიური

17 მარტის საღამოს სხდომაზე გაგრძელდა კამათი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო: კამათში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა ამხანაგებმა: საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ა. მირცხულავამ**, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ი. კოჭლამაზაშვილმა**, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრმა **ი. დორონინმა**, საქართველოს კ. პ. (ბ) საგარეჯოს რაიკომის მდივანმა **ვ. პაქსაშვილმა**, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილების გამგემ **კ. ბარიგიანმა**, საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარმა **გ. კიკნაძემ.**

ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ვ. ბაქრაძემ**, რომელსაც ტაშით შეხვდნენ.

საქართველოს კ. პ . (ბ) ახალციხის რაიკომის მდივნის—ამხ. **გ. კირვალიძის** გამოსვლის შემდეგ საღამოს სხდომა დამთავრდა.

○

დღეს დილის 11 საათზე გაგრძელდება კამათი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო.

## ფინეთის პრეზიდენტმა რატიფიკაცია უყო საბჭოთა კავშირ-ფინეთის საზავო ხელშეკრულებას

**სტოკჰოლმი**, 17 მარტი (საქდესი). გუშინ ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა კალიომ რატიფიკაცია უყო საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის დადებულ საზავო ხელშეკრულებას. პრეზიდენტმა მიანდო მინისტრ პაასიკივის და სეიმის წევრ პროფესორ ვოიონ-მაას მოახდინონ სარატიფიკაციო აქტების გაცვლა-გამოცვლა მოსკოვში ხელშეკრულების IX მუხლის თანახმად.

## უცხოეთის პრესა სსრ კავშირსა და ფინეთს შორის დადებული საზავო ხელშეკრულების შესახებ

### ნორვეგია

**ოსლო**, 16 მარტი (საქდესი). სოციალ - დემოკრატიული გაზეთი „ისტე მაი", რომელიც ქალ. სტავანგერში გამოდის, ცნობას სსრ კავშირსა და ფინეთს შორის დადებული საზავო ხელშეკრულების შესახებ აქვეყნებს დიდრონი ასოებით აწყობილი სათაურით: „სიხარული მთელს ნორვეგიაში". გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნორვეგიელი ხალხი მიესალმება ამ ხელშეკრულებას.

### ლიტვა

**კაუნასი**, 16 მარტი (საქდესი). ლიტვის გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ იმ უდიდეს კმაყოფილებას, რომლითაც საბჭოთა კავშირ-ფინეთის საზავო ხელშეკრულებას შეხვდნენ ლიტვაში. გაზეთი „ლიეტუვოს ჟინიოსი" სწერს: „ევროპის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთში ჩამოგდებული ზავი ყოველმხრივ დადებითი მნიშვნელობის ფაქტია". გაზეთი „ფოლკსბლატი" სწერს: „ხელშეკრულების დადებით სსრ კავშირის მთავრობამ ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი მშვიდობიანობის პოლიტიკის ერთგული მიმდევარია.

ყველაზე დიდი კმაყოფილებით ამ ზავს შეეგებნენ ბალტიისპირა ქვეყნები, რომელთა საზღვრებსაც ომი დაშორდა".

### ლატვია

**რიგა**, 16 მარტი (საქდესი). გაზეთი „იაუნაკას ზინიასი" შეფასებას აძლევს საბჭოთა კავშირ-ფინეთის საზავო ხელშეკრულებას და სწერს: „საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის კონფლიქტის დამთავრებას ჩვენ დიდი კმაყოფილებით ვეგებებით. ლატვიის თვალსაზრისი, როგორც არაერთხელ განაცხადა ჩვენმა მთავრობამ, მუდამ ერთნაირი იყო და იქნება: ევროპის იმ კუთხეში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ მშვიდობიანობა უნდა ბატონობდეს.

საბჭოთა კავშირმა ახალი ხელშეკრულებით განამტკიცა თავისი სახელმწიფოს სუვერენიტეტის უდავო უფლება. ორივე სახელმწიფომ განაცხადა, რომ მათ სურთ პატივი სცენ ერთმანეთის საარსებო ინტერესებს. დადებული ხელშეკრულება იმას მოწმობს, რომ ხალხებისათვის ყველაზე წმინდაა მშვიდობიანობა და თანამშრომლობა. ამას ადასტურებს არა მარტო თვით ხელშეკრულების ხელმოწერის ფაქტი, არამედ ის კმაყოფილებაც, რომელსაც ჩვენ ვხედავთ ყველგან, სადაც ნამდვილად სურთ ორივე სახელმწიფოსათვის სიკეთე და სადაც ფარული მიზნები არა აქვთ".

## გერმანიის თვითმფრინავები თავს დაესხნენ სკაპა-ფლოუს

**ლონდონი**, 17 მარტი (საქდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ინგლისის საზღვაო სამინისტროს ოფიციალურ ცნობას, სადაც ნათქვამია: „გუშინ 19 საათსა და 50 წუთზე გერმანიის თვითმფრინავები თავს დაესხნენ ინგლისის სამხედრო საზღვაო ფლოტს, რომელიც სკაპა-ფლოუში იმყოფებოდა. მტრის დაახლოებით 14 თვითმფრინავი შეიჭრა ბუხტში. გერმანიის თვითმფრინავებმა დიდძალი ყუმბარები გადმოჰყარეს: ერთერთი ყუმბარა მოხვდა სამხედრო გემს, მაგრამ მხოლოდ მცირე ზიანი მიაყენა მას. ყუმბარები გადმოყარეს აგრეთვე ხმელეთზე. მაგრამ ვერც ერთმა ყუმბარამ ვერ მიაყენა რაიმე ზიანი სამხედრო ობიექტებს. ბომბარდირების შედეგად მშვიდობიან მოსახლეობიდან მოკლულია ერთი კაცი და დაჭრილია 7 (მათ შორის 2 ქალი). ყუმბარებმა დააზიანა აგრეთვე 5 კოტეჯი. სამხედრო გემების პირადი შემადგენლობიდან დაზარალდა 7 კაცი.

გემების არტილერიამ, სანაპირო ბატარეებმა და ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა აიძულეს მოწინააღმდეგის თვითმფრინავები უკუქცეულიყვნენ. გერმანიის ერთერთი თვითმფრინავი ჩამოგდებულ იქნა, რამდენიმე სხვა თვითმფრინავი, როგორც ფიქრობენ, დაზიანდა".

## ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრების XI კონფერენცია

**რიგა**, 16 მარტი (საქდესი). 14-16 მარტს რიგაში სწარმოებდა ბალტიის ანტანტის მორიგი XI კონფერენცია. ბალტიის ანტანტა ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის შემადგენლობით 1934 წელს შეიქმნა. 1934 წლის 12 სექტემბერს ამ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას. მორიგ XI კონფერენციას დაესწრნენ ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პიიპი, ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი მუნტერსი და ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი ურბშისი.

დღეს ამ კონფერენციის შედეგების შესახებ გამოქვეყნებულია შემდეგი კომუნიკე:

„განიხილა რა შედეგები სამი ქვეყნის თანამშრომლობისა საგარეო საქმეთა მინისტრების უკანასკნელი კონფერენციის შემდეგ, რომელიც დეკემბერში შესდგა ტალინში, სამი საგარეო საქმეთა მინისტრი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ეს თანამშრომლობა სწარმოებდა სრული ერთსულოვნებით, 1934 წლის 12 სექტემბრის ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის პაქტის საფუძველზე და იმ პრინციპების შესაბამისად, რომლებიც აღიარებულია ამ პაქტით, და აღნიშნავს პროგრესს მათი ურთიერთობის ყველა საკითხში, დღემდე მიღებულ გამოცდილებას სამი ქვეყნის მინისტრები იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ ნეიტრალიტეტის პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებენ ბალტიის სახელმწიფოები, ამ სახელმწიფოების მიერ ნაკისრი ვალდებულებანი და მათი საერთო ქცევა იმ ამოცანებთან დაკავშირებით, რომლებიც ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობის შედეგად წარმოიშვნენ, სავსებით შეესაბამებიან მათ მტკიცე გადაწყვეტილებას — შეიარაღებული კონფლიქტის გარეშე დარჩნენ და უზრუნველჰყონ თავიანთი ქვეყნების დამოუკიდებლობა და უშიშროება. ისინი კვლავაც მიესალმებიან ინიციატივას, მიმართულს ხალხთა შორის სამართლიანი და მტკიცე მშვიდობიანობის დამყარებისაკენ, და რაც კი ძალა შესწევთ ხელს შეუწყობენ ამ მიზნის მიღწევას. სამი მინისტრი კმაყოფილებით ეგებება სსრ კავშირსა და ფინეთს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის აღდგენას. რათა ძირფესვიანად იქნას დაძლეული ომის მდგომარეობით გამოწვეული ეკონომიური სიძნელენი, რომლებმაც თავი იჩინეს ყველა ქვეყანაში, მათ შორის ბალტიის ქვეყნებშიც, სამი საგარეო საქმეთა მინისტრი ერთსულოვნად გამოსთქვამს სურვილს, რომ სამი სახელმწიფოს ახლანდელი თანამშრომლობა ეკონომიურ საკითხებში განგრძობილ და გაძლიერებულ იქნას; მათ გადაწყვიტეს მოუწოდონ სამი სახელმწიფოს ეკონომიური ცხოვრების ხელმძღვანელებს ყველა ღონისძიება იხმარონ ამ მიზნის მისაღწევად. სამი საგარეო საქმეთა მინისტრი, აფასებს რა ხალხთა დაახლოების საქმეში კულტურული ურთიერთობის მაღალ როლს, კმაყოფილებით იღებს ცნობად იმ წინადადებას, რაც ამ საკითხის გამო გააკეთეს სათანადო დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა, რომლებიც ბალტიის ხალხთა დაახლოებისათვის ზრუნავენ, და გადაწყვეტილება გამოაქვს ყოველგვარი ღონისძიება იხმარონ ამ სამ ქვეყანას შორის უკვე არსებული კულტურული თანამშრომლობის გასაფართოებლად.

XII კონფერენცია მოწვეული იქნება ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ 1940 წლის სექტემბერს.

რიგა, 1940 წლის 16 მარტი".

## სოცშეჯიბრება უკრაინასა და საქართველოს შორის

### ჭიათურის მაღაროელთა დელეგაცია ნიკოპოლს გაემგზავრა

**ჭიათურა**, 17 მარტი (საქდესი). 16 მარტს, საღამოს, ნიკოპოლს (უკრაინის სსრ) გაემგზავრა ჭიათურის მაღაროელთა დელეგაცია. „ჭიათურმარგანეცის" ტრესტის კოლექტივის წარმომადგენლები ხელს მოაწერენ „ნიკოპოლმარგანეცის" ტრესტის კოლექტივთან 1940 წლის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას.

დელეგაციის შემადგენლობაში 9 კაცი შედის. მათ შორის არიან: მოწინავე სტახანოველი, ჭიათურის პირველი მარგანეცის ამწმენდი ქალი, მაღაროებში ქალთა მუშაობის მასობრივი მოძრაობის ინიციატორი მარო კერესელიძე, ვოროშილოვის სახელობის მაღაროს დირექტორი შალვა აბრამიშვილი და სხვ.

## საქნავთის დელეგაციის გამგზავრება უკრაინაში

დღეს უკრაინაში მიემგზავრება საქართველოს ნავთის მრეწველობის მუშაკთა დელეგაცია საქნავთტრესტის პარტორგის ამხ. გრ. ლომთაძის (ხელმძღვანელი), საქნავთტრესტის გეოლოგიური განყოფილების უფროსის ამხ. ა. ლალიევისა და მირზაანის სარეწაოს ოსტატ-მბურღავის ამხ. დ. კაკალაძის შემადგენლობით.

დელეგაცია საქართველოს ნავთის მრეწველობის მუშაკთა კოლექტივის სახელით ხელს მოაწერს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას უკრაინის სსრ რომნის რაიონის ნავთსაძიებო უბნის მუშაკთა კოლექტივთან 1940 წლისათვის.

## დანიელ ჭონქაძე

(110 წლისთავი დაბადებიდან)

18 მარტს სრულდება 110 წელი ცნობილი მოთხრობის „სურამის ციხის" ავტორის დანიელ გიორგის-ძე ჭონქაძის დაბადების დღიდან. დანიელ ჭონქაძე დაიბადა 1830 წლის 18 მარტს (ახ. სტ.) ყოფ. დუშეთის მაზრის სოფელ ყვავილში. 1839 წელს დანიელის მამა გადადის კავკავში, სადაც ოჯახიც გადაჰყავს.

1839 წ. 1845 წლამდე დანიელი სწავლობს კავკავის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ კი თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც 1851 წელს დაამთავრა.

კავკავში ყოფნის დროს დ. ჭონქაძემ შეისწავლა ოსური ენა. სემინარიის დამთავრების შემდეგ მას ოსური ენის მასწავლებლად ნიშნავენ სტავროპოლის ერთერთ სკოლაში, 1855 წელს კი ამავე თანამდებობაზე გადმოჰყავთ თბილისის სასულიერო სემინარიაში.

დ. ჭონქაძე გარდაიცვალა 1860 წლის 28 ივნისს და დასაფლავებულია თბილისში ყოფ. ვერის სასაფლაოზე (ახლა კიროვის სახელობის პარკი).

დანიელ ჭონქაძემ დასტოვა მხოლოდ ერთი მოთხრობა „სურამის ციხე", რომელმაც სახელი გაუთქვა ავტორს. ამ მოთხრობით მან საქართველოში ერთმა პირველთაგანმა აღიმაღლა ხმა ბატონყმობის წინააღმდეგ და გაბედულად გამოვიდა ჩაგრულ გლეხთა დასაცავად.

მოთხრობა „სურამის ციხე" იბეჭდებოდა ჟურნალ „ცისკარში" 1859-1860 წლებში. მან დიდი აღშფოთება გამოიწვია გაბატონებულ კლასებში. მოთხრობის ავტორს სძულდნენ, ემუქრებოდნენ იმისათვის, რომ მან გაბედულად და პირუთვნელად სთქვა სიმართლე ბატონყმობის შესახებ. დამახასიათებელია, რომ ჟურნალ „ცისკრის" რედაქტორმა, სადაც „სურამის ციხე" იბეჭდებოდა, იმის შიშით, რომ თავადაზნაურობა შურს იძიებდა, ვერ გაბედა მოეთავსებინა ნეკროლოგი დანიელ ჭონქაძის გარდაცვალების გამო.

„სურამის ციხე" ცალკე წიგნად მხოლოდ 1874 წელს გამოვიდა, მეორე გამოცემა კი—ხუთი წლის შემდეგ, 1879 წელს, ხოლო 1902 წელს „სურამის ციხე" ბათუმში დაიბეჭდა.

წიგნი დიდი პოპულარობით სარგებლობდა და თვითეული გამოცემის მთელი ტირაჟი პირდაპირ რამდენიმე დღეში საღდებოდა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში „სურამის ციხე" შვიდჯერ გამოვიდა.

„სურამის ციხის" საფუძვლიანი კრიტიკული განხილვა და იმ ეპოქის დახასიათება, რომელზედაც ლაპარაკია მოთხრობაში, ეკუთვნის ამხ. ფ. მახარაძეს. 1904 წელს ქუთაისში გამოვიდა ამხ. ფ. მახარაძის წიგნი „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო". ამ წიგნში მოყვანილია აგრეთვე ბიოგრაფიული ცნობები პოეტის შესახებ, რომლებიც ამხ. ფ. მახარაძემ შეჰკრიბა დ. ჭონქაძის ნაცნობ-მეგობართა და ნათესავებს შორის 1897-1898 წლებში.

○

საქართველოს მშრომელები პატივს სცემენ დანიელ ჭონქაძის ხსოვნას. საქართველოს სს რესპუბლიკის მთავრობამ, დ. ჭონქაძის თანასოფლელთა თხოვნით, დანიელ ჭონქაძის სახელი უწოდა დუშეთის რაიონის ყვავილის სოფლის საბჭოს. მისივე სახელი ეწოდა სოფელ ყვავილის კოლმეურნეობას. თბილისში დანიელ ჭონქაძის სახელი მიკუთვნებული აქვს ქალაქის ერთერთ ცენტრალურ ქუჩას.

დანიელ ჭონქაძეს კარგად იცნობენ ოსეთის მშრომელებიც. იგი დაუღალავად მუშაობდა ოსი ხალხის კულტურული წინსვლისათვის და მრავალი წლის განმავლობაში აგროვებდა მასალებს რუსულ-ოსური ლექსიკონისათვის. ამავე დროს დანიელ ჭონქაძე აგროვებდა და სწერდა ოსურ ანდაზებს, ხალხურ თქმულებებსა და სხვა ფოლკლორულ მასალას.

მოთხრობა „სურამის ციხის" მიხედვით დაიდგა ამავე სახელწოდების კინოსურათი, რომელიც დიდი წარმატებით სარგებლობდა, როგორც საქართველოში, ისე სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებში. ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ დ. მესხმა „სურამის ციხე" დრამად გადააკეთა. დრამატურგმა ს. მთვარაძემ მოთხრობის მასალით ისარგებლა და დასწერა პიესა „სურამის ციხე", რომელიც დიდი წარმატებით იდგმება მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრისა და რესპუბლიკის სხვა თეატრების სცენებზე.

საქართველოს სახელმწიფო სალიტერატურო მუზეუმს მდიდარი მასალა აქვს დანიელ ჭონქაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მუზეუმის სეიფებში დაცულია მასალები პოეტის გენეოლოგიისათვის, მისი მიწერ-მოწერა, დანიელ ჭონქაძის ანდერძი, მის მიერ 1859 წლის 6 აპრილს დაწერილი, და სხვ. მთელი ეს მასალა წესრიგში მოჰყავთ, რის შემდეგ იგი გამოქვეყნებული იქნება მუზეუმის ჟურნალში — „ქართული ლიტერატურის მატიანეში". (საქდესი).

## საგაზაფხულო თესვა საქართველოში

აღმოსავლეთ საქართველოს 14 რაიონში, რომელთაც საგაზაფხულო კულტურების თესვა დაიწყეს, 15 მარტისათვის დათესილია 2.861 ჰექტარი, რაც გეგმის 0,6 პროცენტს შეადგენს. მათ შორის მარცვლეული კულტურები დათესილია 1995 ჰექტარი.

მარტის უკანასკნელ ხუთდღიურში რესპუბლიკაში დათესილია 1620 ჰექტარი, ნაცვლად 1.075 ჰექტარისა, რაც დათესილი იყო მეორე ხუთდღიურში. მიუხედავად იმისა, რომ საგაზაფხულო თესვის ტემპები თანდათან იზრდება ერთი ხუთდღიურიდან მეორე ხუთდღიურამდე, ეს ტემპები მაინც არ არის დამაკმაყოფილებელი და ვერ უზრუნველჰყოფს თესვის დამთავრებას დაწესებული ვადისათვის. გეგმით კახეთის რაიონებმა, აგრეთვე ყარაიის, ბორჩალოს და ლუქსემბურგის რაიონებმა საგაზაფხულო თავთავიანი კულტურების და მზესუმზირას თესვა 20 მარტისათვის უნდა დაამთავრონ, ფაქტიურად კი 15 მარტისათვის საგაზაფხულო თესვის გეგმა სიღნაღის რაიონმა შეასრულა 3,1 პროცენტით, ლაგოდეხის რაიონმა— 0,2 პროცენტით, წითელწყაროს რაიონმა — 0,9 პროცენტით, ლუქსემბურგის რაიონმა — 1 პროცენტით, ბორჩალოს რაიონმა — 0,1 პროცენტით და სხვ. თელავისა და ყვარლის რაიონებს დღემდე ერთი ჰექტარიც არ დაუთესიათ.

საგაზაფხულო თესვაში ყველაზე წინ არის თბილისის რაიონი, რომელმაც დასთესა 1301 ჰექტ. საგაზაფხულო კულტურები. საგაზაფხულო თესვის გეგმა თბილისის რაიონმა 21,4 პროცენტით შეასრულა.

## „რუსთაველის სახელისა და სადაურობისათვის"

19 მარტს, საღამოს 8 საათზე, აკადემიკოს ნ. მარის სახელობის ენისა, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში (ლერმონტოვის ქ. № 3) შესდგება ფილოლოგიური განყოფილების სხდომა. სხდომაზე მოისმენენ უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ილია აბულაძის მოხსენებას — „XV საუკუნის უცნობი მესხი პოეტი და რუსთაველის სახელისა და სადაურობისათვის".

## დღეს კინოებში

**კინოებში: რუსთაველის** სახ. — „გამანადგურებელნი", **ოქტომბერი** — „გამანადგურებელნი", **დამკვრელი** — საიუბილეო ფილმი „კინოს ოცი წლისთავი", **კომკავშირელი**—„პარიზის აისები", **სპარტაკი** — „სედოველები", „ჩვენი კინო", **26 კომ. სახ.** — „პირადი საქმე", **კომინტერნი**—„პეპო", **ლუქსემბურგის სახ.**—„მიგდებული ბავშვი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

18 მარტს მუდმ. ადგ. ტალ. № 143 **აიდა** საქ. სსრ დამსახურებული მსახიობის ფატმა მუხტაროვას მონაწილეობით.
20 მარტს მუდმ. ადგ. ტალ. № 144 **ჩიო-ჩიო-სან** უკრაინის სსრ დამსახურებული მსახიობის დანჩენკოს მონაწილეობით.
21 მარტს მუდმ. ადგ. ტალ. № 145 4 აბ. 11 წარმ. **აბესალომ და ეთერი**
დასაწყისი საღამოს 8 ს.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1939-40 წ. სეზონი
20 მარტს მუდმ. ადგ. ტალ. № 135 **ბოგდან ხმელნიცკი**
21 მარტს მუდმ. ადგ. ტალ. № 136 **გმირთა თაობა**
22 მარტს მუდმ. ადგ. ტალონი № 137 **გუშინდელნი**
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრი
1939—40 წ. სეზონი.
18 მარტს **მადამ სან-ჟენ**
20 მარტს **მადამ სან-ჟენ**
21 მარტს **ჩაჭეხილი ხიდი**
დასაწყისი საღამოს 8 საათზე
18 მარტს დღის წარმოდგენა **მზის დაბნელება საქართველოში**
დასაწყისი დღის 12 საათზე.

სახცირკი, ტელ. 3-11-44 | დღეს
დიდი წარმოდგენა 3 განყოფილებად
რსფსრ დამსახურებული არტისტი, ორდენოსანი **ქ. ნიკოლსკი** ჟონგლიორი
რსფსრ სახალხო არტისტი, ორდენოსანი **ბორის ედერი** ლომების ახალი ჯგუფით.
აგრეთვე მონაწილეობს მთელი დასი. დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.
18 მარტს დღის ორი წარმოდგენა. პირველის დასაწყისი 12 ს. და მეორისა —3 ს-ზე.

მოლოტოვის სახელობის რაიონის უმაღლესი სასწავლებლებისათვის **მოსამზადებელ კურსებზე** და კბილის საექიმო სამწლიან სასწავლებელში შესასვლელად
**იხსნება ახალი ჯგუფები ქართულ და რუსულ სექტორებზე**
**მისამართი:** საბჭოს ქ. № 17, მე-77 საშუალო სკოლის კანცელარია, საღამოს 7 საათიდან 10 საათამდე.
5706 **კურსების დირექცია.**

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული № 1474